# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 4 ივნისი 1996 № 43 (268) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქინქი უბედურთა სიაშია

ორი დღის წინ გამოვიდა ,,უორლდ სოკერის" მორიგი ნომერი, რომელიც, ცხადია, თითქმის მთლიანად ევროპის ჩემპიონატს მიეძღვნა. მართალია, ჩვენს მკითხველს ბევრი სხვა ინფორმაციაც აინტერესებს, მაგრამ აქ ნაუწყები, ვფიქრობთ, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

,,უორლდ სოკერმა" შეადგინა ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენილ ფეხბურთელთა სიმბოლური ნაკრები. მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალი განმარტავს, რომ აქ მოხვდნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც ან ტრავმის გამო ტოვებენ ჩემპიონატს, ან მწვრთნელებმა არ შეიყვანეს განაცხადში, ანაც ,,მათი უბედურება ის იყო, რომ სხვა ქვეყანაში დაიბადნენ." მოკლედ, ,,უორლდ სოკერის" ,,ოლ-სტარი" ასეთია:

| | |
|---|---|
| მიშელ პრიუდომი | (ბელგია) |
| პატრიკ ანდერსონი | (შვედეთი) |
| ფრანკო ბარეზი | (იტალია) |
| ფილიპ ალბერი | (ბელგია) |
| გრემ ლე სო | (ინგლისი) |
| იარი ლიტმანენი | (ფინეთი) |
| დეან სავიჩევიჩი | (იუგოსლავია) |
| გიორგი ქინქლაძე | (საქართველო) |
| ერიკ კანტონა | (საფრანგეთი) |
| ჯანლუკა ვიალი | (იტალია) |
| რობერტო ბაჯო | (იტალია) |

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენი გიო კვლავაც რჩეულთა შორისაა. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ სიმბოლური ნაკრების სიმბოლური სათადარიგოთა სკამი ასეთი გახლავთ: რაიან გიგზი (უელსი), დევიდ ჟინოლა (საფრანგეთი), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), მარტინ დალინი (შვედეთი), რაული (ესპანეთი), დონისი (საბერძნეთი), მეხო კოდრო (ბოსნია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია).

ქინქლაძის ტრანსფერის თაობაზე კი ახალი არაფერია, ეგაა, აქაური ჟურნალისტებისგან ჭორად გავიგე, ,,არსენალს" 6 მილიონი გირვანქისთვის მილიონიც წაუმატებია და ფრენსის ლის შეცდენას არა და არ ეხსნება. ისე კი, მოსალოდნელია, ქინქის ტრანსფერი წლევანდელ გარიგებათა შორის უძვირესი გამოდგეს.

დავით მჭედლიშვილი, ლონდონიდან



# ზვიად ენდელაძემ ყველას თავისი ადგილი მიუჩინა

| UEFA CUP | Cup Winners' Cup | INTERTOTO CUP |
|---|---|---|
| უეფას თასზე: დინამო | თასების თასზე: ბათუმი | ინტერტოტოზე: კოლხეთი |

მარგვეთი

## ევროთასებზე ორი გუნდით

### უფულობის გამო

რაც შეეხება საკალათბურთო ევროთასებს, 1996-97 წლების გათამაშებაში საქართველო ორი კლუბით იქნება წარდგენილი. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და აწი ვერაფერი შეცვლის. საქართველოს კალათბურთის ფედერაციას 31 მაისამდე უნდა წარედგინა ფიბასთვის ევროთასებში მონაწილეები. ოღონდ, მანამდე, თავად კლუბებს მოსთხოვა ფინანსური გარანტიები, რათა ამათ მომავალში უკან არ დაეხიათ, რაც, თავისთავად, ფიბას განრისხებას და საჯარიმო სანქციებს გამოიწვევდა. ამგვარი გარანტია მხოლოდ ორმა კლუბმა წარმოადგინა — ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „ვითა" თასების თასზე ითამაშებს, ხოლო მეორე პრიზიორი, თბილისის „დინამო" — კორაჩის თასზე. ამავე თასზე გამოსვლის უფლება ჰქონდა მესამე პრიზიორს რუსთავის „ქიმიკოსს", მაგრამ უარი განაცხადა და არც განაცხადი გაუგზავნია. ევროთასებზე არც ქართული ქალთა გუნდები იასპარეზებენ. მიზეზი კვლავ უფულობაა.

ევროთასების წილისყრა 29 ივნისს გაიმართება მიუნხენში.

დარჩა 4 დღე

„სარბიელი" ევროპის ჩემპიონატზე

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟები ინგლისის სტადიონებიდან

კვირაში ექვსჯერ!

## საქართველოს ჩემპიონატი

# მეტალურგები ვართ, თქვენცა და ჩვენცა!

XXX ტური

### მეტალურგი 0:1 მარგვეთი

მეტალურგი: გ. დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, არჩვაძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, პერტია (პატარიძე 56), ტარტარაშვილი, ალადაშვილი

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, უკლება, ღონღაძე, მორგოშია, კაკუბავა (ჩხეტია 73), ქებაძე, ნიკლაური (გაბრიჭიძე 87), კიკნაძე (გვენაძე 67), ენდელაძე

0:1 ენდელაძე (84)

გაფრთხილება: კიკნაძე, ნიკლაური

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

მაისის ბოლო დღე ჯამრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ „უკვამლო" დღედ იყო გამოცხადებული. მიუხედავად ამისა, „მეტალურგის" მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს (მარგველთა თავკაცი არამწეველია) მთელი კოლოფი მატჩის დროსვე რომ მოეწია, ვერავინ დასძრახავდა. ამ დღეს რუსთავში მეორე ადგილისა და უეფას თასზე გამსვლელი საგზურის ბედი წყდებოდა.

ორივე გუნდს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, ამათი ფრე კი გზას „კოლხეთსა" და „სამტრედიას" უხსნიდა. ამიტომაც იყო, შეხვედრამ დიდი ინტერესი რომ გამოიწვია. ვის აღარ ნახავდით ბოლო ტურის უმთავრეს მატჩზე: ფედერაციის მთელ მოცლილ (სხვანი დანარჩენ შეხვედრებს კომისრობდნენ) შემადგენლობას, პრეზიდენტიდან დაწყებული, ნაკრების მასაჟისტით დამთავრებული, ბათუმელ, ქუთაისელ, თბილისელ, სამტრედიელ, რაღა თქმა უნდა, ზესტაფონელ და რუსთაველ გულშემატკივარს. მაყურებელმა გადახურული ტრიბუნა ნემსის ჩასავარდნ ადგილამდე გაავსო, მოპირდაპირე კი — სამესამედოდ. მათგან სიხარული უმცირესობამ განიცადა, მწუხარება კი — უმრავლესობამ, მაგრამ გამარჯვებულებს მთელმა სტადიონმა დაუკრა ტაში.

არადა, „მარგვეთმა" მართლაც ჩაიდინა ისეთი რამ, რის გამოც აპლოდისმენტებს იმსახურებდა.

თამაში რუსთაველთა უპირატესობით დაიწყო და კარგა ხანს ასეც გაგრძელდა. ალადაშვილისა და ჩალაძის სახიფათო ჩაწოდებების, რეხვიაშვილის აცილებული დარტყმის, ტარტარაშვილის ჯვარედინის წილ მე-80 წუთამდე სტუმართა ერთ სახიფათო მომენტს ვერ გავიხსენებთ. ერთი კი უნდა ითქვას: ზესტაფონელთა ტაქტიკამ მეორე ტაიმშიღა გაამართლა. მათ სამ მცველს არ გასჭირვებია ჩალაძე-ზირაქიშვილის დუეტის შეჩერება, რომელიც ამ დღეს ჩვეული სიძლიერით ვერ უტევდა, 5-კაციანმა ნახევარდაცვამ კი „მეტალურგს" ცენტრი წაართვა და თამაშის სადავეები ხელთ იგდო.

საერთოდ, ზესტაფონელები უფრო მშვიდნი გამოვიდნენ ამ თამაშზე. იქნებ იმიტომ, რომ მათ გამარჯვების დიდი იმედი არ ჰქონდათ. თუ წააგებდნენ, დასაკარგიც რა იყო, სტუმრად მარცხს ხომ საქართველოში მოთამაშე ნებისმიერი გუნდი შეგუებული უნდა იყოს.

სტუმრებმა ოსტატურად მოქანცეს მასპინძლები, მერე თამაშში დასვენებულნი შეუშვეს და გადამწყვეტმა დარტყმამაც აღარ დააყოვნა: ენდელაძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი დოლიძის კარის ბადეში გაეხვია.

ვინ ელოდა ამას, ვინ იფიქრებდა, რომ ამ მატჩის გამარჯვებული რომელიც ვერცხლის მედლებს ჩაიჩხრიალებდა და თან უეფას თასის საგზურსაც ჩაიჯიბავდა, სტუმარი იქნებოდა? გამოუსწორებელი ოპტიმისტის მეტი — ვერავინ.

31 მაისს რუსთავის სტადიონზე მოხდა ისეთი რამ, რამაც ჩვენს ჩემპიონატს ფასი დაადო. ბოლო აკორდი ვისთვის მინორული იყო, ვისთვის მაჟორული, მაგრამ მაყურებელმა კი ნამდვილად იხეირა. მან უშელავათო, კაცური ბრძოლა იხილა, რომელსაც თან აზრთა ჭიდილიც ერთვოდა. გაიმარჯვა ფიზიკურად უფრო ძლიერმა, გამჭრიახმა და მოხერხებულმა. მინდვრის გარეთ კი რას არ გაიგონებდა კაცი. ბარე ათ ვერსიას და ურიცხვ ჭორს მიეცა გასაქანი. უფრო მეტად კი ისეთი ვერსია გამოიკვეთა, რომელსაც კაცი ხელაღებით ვერ უარყოფ და ვერ წაუყრუებ. ბევრის თქმით, თამაში მართლაც ნაღდი და უშელავათო იყო, თუმცა არსებობდაო ასეთი შეთანხმებაც: თუ ბოლო ხუთ წუთამდე ფრე იქნებოდა, მერე სტუმარს უნდა დაეთმო რათა ამ ზავით სხვებს არ ეხეირათ. წუთით დაასწრო ენდელაძემ შესაძლო მოვლენებს და ჭორ-მართალს ბოლო მოუღო — ყველა ფაქტის წინაშე დააყენა, ბურთსაც თავისი ადგილი მიუჩინა, თავის გუნდსაც და ენაჭარტალა მაყურებლებსაც.

სტადიონზე მისულთ თვალთახედვიდან არ გამორჩებოდათ წინასაარჩევნო მოწოდება: „ხმა მიეცით „მეტალურგის" პრეზიდენტს გურამ ქაშაკაშვილს!" ვერ გეტყვით, რა გავლენას მოახდენს ხელახალი არჩევნების წინ ქაშაკაშვილის შანსებზე „მეტალურგის" მარცხი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: პრეზიდენტი არ შედრკა და საკუთარი გუნდისთვის შეგულებული პრიზი სტუმრებს გადასცა. თან დააყოლა: მიხარია, რომ დღეს გამარჯვებული მაინც ჩვენი ამქრიდან გამოვლინდაო.

ზესტაფონელთა პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე კი სიხარულისა და მადლიერების გრძნობამორეულმა ფეხბურთელებმა ლამის ცაში ასტყორცნეს.

ვახტანგ ბზიკაძე
რუსთავიდან



ქებაძემ კარგადაც ითამაშა და შედეგითაც გაიხარა, მაგრამ მატჩის ბოლოს სამწუხარო ამბავი, ბიძის გარდაცვალება შეიტყო

ბადრი კეთილაძის ფოტოები

მატჩის შემდეგ ზესტაფონელებს ემოციების დაოკება არც უცდიათ. „მარგვეთის" მთავარი მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე სიხარულისაგან ტიროდა.



— დაცვითი ტაქტიკა არ აგვირჩევია, მცველებსაც კი აქტიური თამაში მოვთხოვე, რაც მათ ძალიან კარგად შეასრულეს. ქებაძეს კი ნახევარმცველთა დახმარება ევალებოდათ. მოკლედ, ყველამ კარგად ითამაშა და მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. საერთოდაც, წლევანდელი შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თუმცა, მაინც ვთვლი, რომ საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა. მეორე წრეში ერთი ხანობა პოზიციები დავთმეთ. მიზეზი ბაზის უქონლობა იყო, რის გამოც ხან სად ვვარჯიშობდით, ხან სად. ბოლო ორი კვირა, რადგან სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ისევ ზესტაფონის სტადიონზე ვემზადებოდით. ამან შედეგიც გამოიღო.

**— ევროპაში გასვლა, იცოცხლეთ, კარგი საქმეა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საიქაოდ გუნდის გაძლიერებაც აუცილებლად დაგჭირდებათ...**

— გაძლიერება თითქმის ყველა რგოლში გვჭირდება. თავისუფალი უგუნდო ფეხბურთელი ამჟამად საკმაოა, მაგრამ ისურვებენ კი ისინი ჩვენთან გადმოსვლას? ამასთან, გაახალგაზრდავებაც დაგვჭირდება.

სიმართლე რომ გითხრათ, მაინც არ ველოდი, დღეს თუ მოვიგებდით და ამაზე არც გვიფიქრია. მაგრამ, დღეიდან უკვე დავიწყებთ ფეხბურთელებისათვის ბრძოლას.

... მეორე წრე არ დაწყებულიყო, ზესტაფონელთა პრეზიდენტმა ვასიკო ხაჭაპურიძემ რომ მითხრა: „ერთხელ ჩემთან უცნობი, ჭაღარა კაცი მოვიდა და მითხრა, შვილო, რატომ ხარჯავ ფეხბურთში ამდენ ფულს, მაინც არ დაგიფასდებაო. ზოგჯერ იმასაც კი გავიფიქრებ ხოლმე, ის კაცი მართალი იყო-მეთქი". სიხარულისაგან აცრემლებულ პრეზიდენტს მაშინდელი საუბარი გავახსენე:



— რაც ფული დავხარჯე, ათი იმდენიც რომ ჩამეყარა, მაინც მიღირდა, რადგან დღენს ისეთი სიხარული განვიცადე, ჩემთვის მთელ ცხოვრებას რომ უდრიდა. ასე მგონია, მეორედ დავიბადე. ღმერთი არსებობს და ეს დღესაც დადასტურდა. მან არ გაგვწირა.

**— ზესტაფონის გამგებელი ალბათ ახლა მაინც დაგეხმარებათ...**

— დამთავრდა თუ არა თამაში, ჩემთან ჯემალ გორგოძე მოვიდა და მითხრა, უახლოეს დღეებში საგანგებოდ შევიკრიბებით და, მითხარით, რითი შეგვიძლია დაგეხმაროთო.

ზვიად ენდელაძეც ბავშვივით ხარობდა. გუნდის წარმატებაში მის წვლილს ნამდვილად ოქროს ფასი აქვს და აკი რუსთავში კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლიც გაიტანა.



— თამაშის წინ ღმერთს ვთხოვე, გოლი გამატანინე-მეთქი და ამისრულა კიდეც. დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ. ბაღდათში რომ ჩავალ, ჩემს საყვარელ ხალხთან, ყველას მოვეხვევი და მოვეფერები.

აქამდე, ვიცი, ხალხი ეჭვის თვალით გვიყურებდა. რატომღაც ეგონათ, რომ თამაშს დავთმობდით; მაგრამ ახლა ყველას დავუმტკიცეთ, რომ ეს ასე არ არის და თამაში შეგვძლებია.

მერაბ მამულაშვილი

## სად უმასპინძლებს «მარგვეთი» ევროპელებს?

ევროპაში გასულ მარგველებს, ბუნებრივია, მრავალი პრობლემა და საზრუნავი გაუჩნდათ. ერთ-ერთი, რომელიც ამთავითვე აწუხებთ, ისაა, სად უმასპინძლონ ევროპელებს. გუნდის მთავარი მწვრთნელის ზაურ ჩუბინიძის თქმით, შესაძლოა, თამაშები ზესტაფონშიც ჩატარდეს. გახსოვთ, ალბათ, შარშან საქართველოში იმყოფებოდა უეფას სპეციალური წარმომადგენელი ერიხ ეპლე, რომელმაც ზესტაფონის სტადიონიც მოინახულა და, როგორც ვიცით, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. „თუკი პრეს-ლოჟის, გასახდელებისა და სტუმრებისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სკამების გაკეთება თამაშებამდე მოხერხდა, ზესტაფონში ვითამაშებთ, თუ არა, შეხვედრებს ალბათ ბათუმში გავმართავთ", — დასძინა ჩუბინიძემ.





### დინამო 8:0 სიონი

დინამო: ჭანტურია, კალაძე (კიკნაძე 3), კობიაშვილი, დიდავა, მაჭავარიანი (კერძევაძე 46), ცქიტიშვილი, ინალიშვილი, დემეტრაძე, ხომერკი, ყიფიანი, იაშვილი (ყიზილაშვილი 46)

სიონი: დალაქიშვილი, გაბრიჭიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მეფარიშვილი, გ. სამხარაძე, გოგოლაძე, ტოროშელიძე, მოსეშვილი, ვ. სამხარაძე, მეტრეველი

1:0 იაშვილი (11), 2:0 დემეტრაძე (17), 3:0 ხომერიკი (19), 4:0 დემეტრაძე (34), 5:0 ცქიტიშვილი (39), 6:0 დემეტრაძე (64), 7:0 ცქიტიშვილი (66), 8:0 დემეტრაძე (86)

მსაჯი: პ. გორდაშვილი (ქუთაისი)

## ფოთელების იმედიანი სამზადისი

ჩამთავრდა ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ჯგუფის თამაშები და გასარკვევიც აღარაფერი დარჩა: ჩემპიონიც გვყავს, თასის მფლობელიც და პრიზიორებიც. იმ გუნდის ვინაობაც გაირკვა, რომელიც საქართველოს სახელით გამოვა ინტერტოტოზე. ეს პატივი ფოთის „კოლხეთმა" ირგუნა. არადა, მეორე წრის დაწყებამდე კოლხთა გუნდში ისეთი ამბოხი ტრიალებდა, მტრისას. ევროთასზე თამაშს კი არა, ჩემპიონატს თუ გააგრძელებდა, ისიც საკითხავი იყო. მაგრამ ზოგ-ზოგებისგან განსხვავებით, ქალაქისა და გუნდის ხელმძღვანელებმა ბუტიობას ბოლოს მაინც საქმის კეთება არჩიეს, ფეხბურთელებმაც მოინდომეს და შედეგიც მიიღეს. „კოლხეთი" ინტერტოტოზე კი მოხვდა, მაგრამ ამით არც გუნდს და არც მის ხელმძღვანელებს თავსატეხი, ცხადია, არ მოკლებიათ, პირიქით, სწორედ ახლა მართებთ გარჯა და ხელის გამოღება. აგერ არც დაუხანებიათ და ჩემპიონატი ერთი დღის დამთავრებულიც არ იყო, რომ ფოთელები ფეხბურთის ფედერაციას ეწვივნენ და პრეზიდენტ ახალკაცთან კარგახანს ითათბირეს. „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია სწორედ ამ საუბრის შემდეგ მოთვიხელთეთ და სამომავლო გეგმებზე გავესაუბრეთ...

— ინტერტოტოს გათამაშებაში მოხვედრამ დიდი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა. ყველა პრობლემა სასწრაფოდ უნდა მოვაგვაროთ. პირველ მატჩს 29 ივნისს ვთამაშობთ, იუგოსლავებს ვმასპინძლობთ. ამიტომ ფეხბურთელებს მხოლოდ 5 ივნისამდე ვასვენებ. ამ დღეს შევიკრიბებით და მზადებასაც შევუდგებით. 10 ივნისს გერმანიაში მივემგზავრებით შეკრებაზე.

**— ცხადია, გაძლიერებას შეეცდებით...**

— სასურველი 5-6 ფეხბურთელი უკვე შეგულებული გვყავს, ისინი გუნდთან ერთად წამოვლენ გერმანიაში. „კოლხეთი 2"-დანაც დავიმატებთ 2-3 ახალგაზრდას. ისე, რომ იცოდეთ, გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩება.

**— ამბობდით, თუ ინტერტოტოზე გავედით, ბათუმში ვითამაშებთო...**

— პირველ საშინაო შეხვედრას უეჭველად ბათუმში, გავმართავთ, მეორე მატჩი კი, არ არის, გამორიცხული საკუთარ მოედანზე ჩავატაროთ. ნოდარ ახალკაცს ყველა დეტალზე ვესაუბრეთ, მისგან საჭირო მითითებებიც მივიღეთ. ქალაქის ხელმძღვანელობას მზადების ჩვენეულ გეგმასაც წარვუდგენთ და ჩვენი ამჟამინდელი სტადიონის რეკონსტრუქციაც დაიწყება. მთელი ფოთი ფეხზე დადგება. არ ვიცით, მოვასწრებთ თუ არა, მაგრამ ცდას ნამდვილად არ დავაკლებთ. სამომავლოდ „კოლხეთს" ახალი, ევროპული დონის სტადიონიც ექნება, მაგრამ ეს ინტერტოტოს გათამაშებისთვის ვერ მოესწრება. ამიტომ ვირჩიეთ ძველის რეკონსტრუქცია. ყველანაირად ვეცდებით ჩვენი სტადიონი საერთო სტანდარტებს მივუახლოვოთ. რაც უნდა იყოს, შინ თამაში გუნდს ძალებს შემატებს.

**— კი მაგრამ ბათუმიც ხომ ჩვენია და არა გვგონია, იქ რამე დაგაკლდეთ...**

— მჯერა, რომ ბათუმში თავს ჩინებულად გვაგრძნობინებენ, იქაურებისგან სითბო და მხარდაჭერა არ მოგვაკლდება, მაგრამ შინ, ფოთში გვირჩევნია და რა გასაკვირი ესაა.

**— გათამაშების კალენდარზე რა იტყოდით?**

— ამაში კი ნაღდად ბედი გვქონია. ნამდვილად არ არის ურიგო, ახლა ყველაფერი ჩვენზე იქნება დამოკიდებული და ყველანაირად ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ. ხუმრობა იქით იყოს და, არ გაგიკვირდეთ, „კოლხეთი" ქვეჯგუფიდან რომ გავიდეს.

**— მეტოქეებზე თუ იცით რამე?**

— ჯერ ისიც არ არის დაზუსტებული, კონკრეტულად ვინ შეგვხვდება, მაგრამ თანდათან რამეს მოვახერხებთ. თუ ამ საქმეში ჟურნალისტებიც დაგვეხმარებით, დიდი მადლობელი დაგრჩებით.

მამუკა კვანტალიანი

## ენდელაძის ევრაზიული დერეფანი

მართალია, მარგველმა ზვიად ენდელაძემ ოთარ კორღალიძის რეკორდი (სეზონში 41 ბურთი) ვერ გააუმჯობესა, სამაგიეროდ, მისმა მეორმოცე გოლმა „მარგვეთი" ევროთასებზე გაიყვანა. რაც შეეხება თავად ენდელაძეს, როგორც მან „მეტალურგთან" შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საევროპოდ გამზადებული ზესტაფონელთა გუნდი, ალბათ, მის გარეშე იასპარეზებს, რადგანაც ზვიადს გასასინჯად ღლე-ღლეზე ერთ-ერთი კორეული გუნდი ელის.

## რეზო გერმანიას [illegible]

ბრონდბიუს რაიონში ყოფნისას, კოპენჰაგენის სამხრეთით რომაა, „ბრონდბი-შტადიონზე" შევიარე, ჰვირი დღე იყო და თითო-ოროლა კაცი თუ დაყიალობდა დანიის ფეხბურთის ფედერაციისა და „ბრონდბიუს" ოფისების მახლობლად. ერთმა, რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი, მითხრა, მგონი, ვიღაც თქვენებური „არველაზის" ჩამოყვანა უნდათო. ვუთხარი, აღარ ჩამოვა, „მეჰელენთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი-მეთქი.

ბოლოდან მესამე ტურში, „ვუპერტალერის" 2:0 დამარცხების შემდეგ რეზო ამ სეზონში ოცდამერვედ (!) აღიარეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, ერთი გოლიც შეაგდო ამ თამაშში...

**— რეზო, როდის მთავრდება თქვენი რეგიონალიგის ჩემპიონატი?**

— 8 ივნისს ბოლო მატჩს გავმართავთ. გადასვლის შანსი აღარ გვაქვს, რადგან ჩემპიონატს ალბათ მესამე ადგილზე დავასრულებთ.

**— ჩვენი ბიჭები როგორ არიან?**

— ჩინებულად. ბოლო სამი ტურის მატჩები 2:0, 5:0 და 2:0 მოვიგეთ, ნემსომ გოლებიც შეაგდო, სამივეჯერ ნიკა ჩხეიძე იდგა კარში და მშრალადაც შეინახა.

**— „მეჰელენთან" დადებულ კონტრაქტზე გვითხარი რამე...**

— სამწლიანია, ყოველი წლის მერე წასვლის უფლება მაქვს, თუკი უკეთესი კლუბი მიმიწვევს.

**— გავიგე, უკვე ჩასულხარ „მეჰელენში"...**

— ბინის არჩევა მსურდა, თანაც სამედიცინო შემოწმება გავიარე. 22 ივნისს უკვე მეჰელენში უნდა ვიყო, რადგან კლუბი მეორე დღეს მიემგზავრება ჩინეთს, სადაც ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. რაც შეეხება თავად მეჰელენს, იგი პატარა ქალაქია, ბრიუსელიდან ოციოდე კილომეტრში მდებარეობს. პრესკონფერენციაც მომიწყვეს და კლუბის პლაკატიც გავაკარი დაფაზე, ვითომდა მომავალ ჩემპიონატს პირველ ადგილზე ვამთავრებთ. გულშემატკივრები და კლუბის ხელმძღვანელები ამას მოითხოვენ.

**— რამდენად რეალური ჩანს თქვენი პირველობა ახალ სეზონში?**

— ვერ გეტყვი, „მეჰელენს" ორი ფეხბურთელი ოლიმპიურ ნაკრებში ჰყავს, ერთიც — ეროვნულში. მწვრთნელი ახალგაზრდა კაცია, ოთხი-ხუთი ძლიერი ფეხბურთელის მოწვევას აპირებს. აი, ესაა, რაც ჯერჯერობით ახალი კლუბის შესახებ ვიცი.

**— თბილისში ჩამოსვლას არ აპირებ?**

— ალბათ, ივნისის შუა რიცხვებისთვის ჩამოვალ და რამდენიმე დღით დავრჩები. ტყუპების ბედიც მაინტერესებს, გერმანიაში მათ ირგვლივ დიდი აჟიოტაჟია, დაუმს მათი „კიოლნში" აყვანა სურს. ისე კი ვიცი, შოთას არჩილი ქვეყანას ურჩევნია და, სანამ ასეთ დღეშია, არ მიატოვებს...

მამუკა კვარაცხელია

## გოგრიჭიანი ზღვას ვერ შელევია...

ჩვენი ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი კვიპროსიდან ისევ რუსეთს ბრუნდება. გოჩას კვიპროსულ „პაფოსთან" კონტრაქტის ვადა გასვლია და მიუხედავად იმისა, რომ სხვა ადგილობრივი კლუბები ეპატიჟებოდნენ, მაინც რუსული „ჟემჩუჟინა" ურჩევია. გოგრიჭიანის თქმით, სურს კვლავაც სოჭში ითამაშოს, იქაურობასთან მას საუკეთესო მოგონებები აკავშირებს და ბევრი მეგობარიც ეგულება.

გოგრიჭიანს „ჟემჩუჟინაში" თვისტომნიც დახვდებიან, ჯანაშიასა და იონანიძის გარდა, შესაძლოა, გოგიაშვილი და ჯელაძეც — ისინი სოჭელებს გასასინჯად მიუწვევიათ.

## ...გაზაევი კი გრიშიკაშვილს

„ალანიადან" ამ ცოტა ხნის წინ წამოსული სოსო გრიშიკაშვილის საქმე მოულოდნელად შეტრიალებულა. მეკარე, რომლის გადაბირებაც დღესდღეობით ბევრ გუნდს სურს, გაზაევს გაზაევს, თურმე ჯერაც არ გაუთავისუფლებია.

— გაზაევს ჩაუთვლია, რომ თვითნებურად წამოვედი და ჩემს დაბრუნებას ითხოვს — გვითხრა სოსომ — რაც შეეხება ჩემს ვითომდა „ოდიშში" გადასვლას, ამაზე საუბარიც არ ყოფილა. მოკლედ, „ალანიას" კვლავაც ვუნდივარ.

# სლავა ცოცხალია, გაუმარჯოს სლავას!



გარინჩა, ვორონინი, ჩისლენკო, სტრელცოვი... ამ ერთი პროფესიის და სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ბრწყინვალე ფეხბურთელობის გარდა ერთნაირად ტრაგიკული ბედიც დაჰყვათ: სანამ ფეხბურთს თამაშობდნენ, მოწონებით მოიხსენიებდნენ და ტაშს უკრავდნენ, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კი მათი სახელები ყველამ მიივიწყა და ზოგმა შიმშილში და სილატაკეში, ზოგმაც ავადმყოფობაში დალია სული.

საქართველოში ფეხბურთელებს მუდამ აფასებდნენ. აგერ სულ ბოლო დრომდე. კახი ასათიანმა ამ მიზნით ვეტერანთა კავშირიც კი ჩამოაყალიბა და მიშა მესხს და სლავა მეტრეველს იუბილეებიც გადაუხადა. მერე და მერე ომმა, გაჭირვებამ და არეულობამ ქველმოქმედებაც შეაფერხა და ნელ-ნელა, ჩუმად და უსიტყვოდ გამოგვეცალნენ ბორის პაიჭაძე, მიშა მესხი, გივი ჩოხელი, ავთო ჭკუასელი, თენგიზ მელაშვილი, გიგა ნორაკიძე... მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგღა შემოვირტყამდით თავში ხელს და „დინამოს“ სტადიონზე დასვენებულ ცხედრებს ვებოდიშებით: გვაპატიეთ, რომ სიცოცხლეშივე ვერ მოგხედეთო.

... იმ დღეს კი, შეჭაღარავებული კაცი, სცენის მარცხენა კუთხეში რომ დაესვათ მართლაც ძნელი საცნობი იყო...

... 30 მაისს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში სლავა მეტრეველის სამოცი წლის იუბილე აღნიშნეს. ამ გაჭირვებასა და უპატრონობაში თითქოს არც ეს დაავადმყოფებული ლეგენდა ფეხბურთელი ახსოვდა ვინმეს, მაგრამ ქართველ ვეტერანთა საძმოს სხვა სიყვარული სცოდნია, კოლეგებმა ყველაფერი იღონეს, რათა სლავა მეტრეველი ამ დღეს მოსკოვიდან თბილისს ჩამოეყვანათ და ჩვენი არეული დროის კვალობაზე ჩინებული საღამოც მოეწყოთ. ქართველი ვეტერანების გარდა, უკლებლივ რომ შეკრებილიყვნენ დარბაზში, მეტრეველი თურმე არც რუს კოლეგებს დავიწყებიათ, მათ უამრავი მისალოცი დეპეშა გამოუგზავნეს, ხოლო საბჭოური ფეხბურთის კიდევ ერთი ლეგენდა, ვიქტორ პონედელნიკი, წლების სიმძიმე რომ აშკარად დასტყობია, თბილისში საგანგებოდ სლავა მეტრეველის საიუბილეო საღამოზე დასასწრებად ჩამოვიდა. აკი გვითხრა კიდეც: წლებმა მეც მომტეხეს, მაგრამ რას უნდა დავეკავებინე, როცა სლავა თბილისში მეგულებოდა, ჩემს უსაყვარლეს ქალაქში, სადაც ბედნიერი ბავშვობა გამიტარებიაო. მივატოვე ყველაფერი და ბედნიერი ვარ, ამ საღამოს რომ ვესწრებიო. ცნობილმა მსახიობმა მიხეილ იოფემ სლავა მეტრეველისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა და მას „საფეხბურთო რუსთაველი“ უწოდა. ფეხბურთის ცნობილმა ქომაგმა, შინაგან საქმეთა მინისტრყოფილმა, აწ კი პოლიციის აკადემიის შეფმა შოთა გორგოძემ, მინისტრის პოსტზე ყოფნისას კრუხივით რომ ეფოფინებოდა ყოფილ ფეხბურთელებს და კარიერის დამთავრების შემდეგ ზრუნვას რომ არ აკლებდა მათ, ლამაზი ხმალი უფეშქაშა ვეტერანს და ბრძანა: აკადემია ახალ სტადიონს რომ ააშენებს, მას სლავა მეტრეველის სახელს ვუწოდებთო. ვეტერანი თბილისის პოლიციის უფროსმა დემურ მიქაძემაც დააფასა. სიტყვაში გამომსვლელები, იქნებოდნენ ეს კინოსა და თეატრის მსახიობები თუ პასუხისმგებელი მუშაკები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფეხბურთელისადმი სიყვარულის გამოხატვაში, ერთმანეთს ცვლიდნენ ქათინაურები და საჩუქრები. დავით ყიფიანმა გაიხსენა 1971 წელი და თავისი პირველი მატჩი „დინამოში“, რომელიც სწორედ სლავა მეტრეველის შემცვლელად გამოსულმა ჩაატარა, ვლადიმერ გუცაევმა კი „ვალი“ დაუბრუნა ვეტერანს: ალბათ გახსოვთ, მეტრეველმა სწორედ თავის მემკვიდრედ მიჩნეულ გუცაევს გადასცა ცხრანომრიანი მაისური. ვოვამაც ოცდახუთი წლის მერე სპორტული აღმერვილობა უფეშქაშა თავის გზის გამკვლევს და დიდ წინამორბედს.

... ჭაღარა სლავა მეტრეველს კი ღიმილიან სახეს ცრემლები უსველებდა. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა ვეტერანი — ბედის უკუღმართობაზე თუ განვლილ დიდ მატჩებზე. აღელვების თუ ავადმყოფობის გამო ხეირიანად მადლობის თქმაც ვერ შეძლო. გული მოგიკვდებოდა მის შემხედვარეს, არავინ მოელოდა, რომ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს ასეთ ყოფაში ნახავდა...

საღამო კი ტრადიციული „დინამო! დინამოს!“ სიმღერით დაამთავრა ვაჟა აზარაშვილმა, მან თითქოს ყველას შეახსენა, რომ ფეხბურთელები მიდი-მოდიან, თაობები იცვლებიან, „დინამო“ კი რჩება. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ვისაც ერთხელ მაინც უნახავს სლავა მეტრეველის თამაში, ანაც მისი თამაშის მხილველთაგან სმენია და ფეხბურთის გულშემატკივარი ჰქვია, ყველას სურვილი და ნატვრაა, კიდევ დიდხანს იცოცხლოს სლავა მეტრეველმა, კიდევ მრავალ იუბილეს მოასწროს ღმერთმა და სენიც ისევე იოლად დაამარცხოს, როგორც მეტოქის მცველებს სძლევდა სამოციან წლებში...

მამუკა კვარაცხელია

# სერგო და ბორია ბულგარეთიდან



დიმიტარ პენევი და ბორის დუდაური

წლინახევრის წინ „სარბიელში“ გაუწყეთ, რომ ბულგარეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, სოფიის „ლოკომოტივში“, ამ კლუბის ხელმძღვანელთა არაერთგზის მოთხოვნის მერე, ერთი კვირით გიორგი ქინქლაძე და „დინამოს“ სელექციონერი ბესო კირვალიძე ჩასულან. გავიდა დრო და მართლაც მოირგო ქართველმა „ლოკოს“ მაისური, ოღონდ ეს 18 წლის მეკარე სერგო ჭურაძე გახლდათ. ამ საქმის მომკვარახჭინებელი ბორის დუდაურია, თავის დროზე „არმაზი 90“, მოსკოვის „ცსკა 2“, ბულგარეთის „როზოვა დოლინა“, და „სლივენი“ რომ უწვრთნია. დუდაურმა მეშვიდე ჩემპიონატი „გურიას“ თავკაცად დაიწყო, გეგმებიც დიდი ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ გახურებულიყო, გუნდი რომ დატოვა. ამას და ჭურაძის ჩაყვანის ამბავს თავად გიამბობთ...

**— რატომ დატოვეთ „გურია“ ჩემპიონატის სტარტზევე?**

— „გურიაში“ დიდი იმედებითა და ენთუზიაზმით მივედი. კლუბში სულ რვა ფეხბურთელი ირიცხებოდა. გუნდის დასაკომპლექტებლად 11 ფეხბურთელი მივიწვიე, მათ შორის ახალგაზრდა მეკარე სერგო ჭურაძე. ვარჯიშსაც საკმაოდ ადრე, 18 ივლისს შევუდექით. სამი საკონტროლო თამაშიც გავმართეთ და სამივე მოვიგეთ. ჩემპიონატის პირველივე მატჩშიც ზუგდიდს ვძლიეთ, მაგრამ ნელ-ნელა ენთუზიაზმი გაქრა, რაკილა რაიონის ხელმძღვანელობამ მინიმალური პირობებიც კი არ შეგვიქმნა მომზადებისთვის, ბუცი და ბურთი რაა, ისიც არ გვქონდა, ფეხშიშველა ფეხბურთელებს ვავარჯიშებდი, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შაქარს იქვე ახლომახლო ჩასახლებული ლტოლვილებისგან ვსესხულობდით. გუნდის პრეზიდენტი ედიშერ ჟორდანია ბევრს ეცადა, მაგრამ რად გინდა, რაიონის ხელმძღვანელობამ ყური არ შეიბერტყა. ფეხბურთელებს კოვზიც კი არ ქონდათ, ყველაფრის გარდა, მუნიც დაერიათ. ასეთ პირობებში მუშაობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო და წამოვედი გუნდიდან.

**— მიუხედავად ამისა, „გურია“ მაინც არ გავარდა...**

— ალბათ, მხოლოდ ადგილობრივ კაცს შეეძლო სასწაულის მოხდენა და ასეთი კაციც გამოჩნდა — ბეგი სიხარულიძე.

**— ბულგარეთში ხელახლა როგორღა აღმოჩნდით?**

— ადრე, ბულგარეთში მუშაობისას დიმიტარ პენევი გავიცანი და ძალზე დავუახლოვდი. „ლოკომოტივშიც“ გარკვეულწილად მისი რეკომენდაციითა და ცნობილი მწვრთნელის, ტრენდაფილ ტერზინსკის მონდომებით მოვხვდი. ტერზინსკის თავკაცობით 1994 წელს ლისაბონის „სპორტინგი“ პორტუგალიის ჩემპიონი გახდა. 10 იანვარს სოფიაში მე და ჭურაძე ჩავედით. „ლოკომოტივს“ ორი გამოცდილი მეკარე ჰყავდა — მინოვსკი და მანოლკოვი, ამ უკანასკნელის მამა მეკარეთა მწვრთნელად მუშაობდა. ჭურაძეს, ფაქტიურად, შანსი არ ჰქონდა, მაგრამ მონდომების, შეუპოვრობისა და დიდი შრომის ფასად მივაღწიეთ იმას, რომ მას ბულგარეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის კარი მიანდეს. ჭურაძემ ხუთი მატჩი ითამაშა, მხოლოდ ორი გოლი გაუშვა და ბულგარეთის ჩემპიონატში გუნდის მიერ ბრინჯაოს მედლების მოპოვებაში თავისი წვლილიც შეიტანა.

**— ჭურაძე ადრე 18 წლამდე ნაკრებშიც იყო, ახლა როგორღაა ამ მხრივ საქმე?**

— სერგოს შესანიშნავი თამაშის შემდეგ ვოვა გუცაევს დავურეკე. ვოვამაც არ დაიზარა და, როგორც სჩვევია, საქმისადმი გულმოდგინე დამოკიდებულება აქაც გამოამჟღავნა — მალევე ჩამოვიდა. ვოვას აქ ყოფნის პერიოდში „ლოკომოტივმა“ ორი მატჩი ითამაშა — „დობრუჯასთან“ 3:0 მოიგო და ვარნის „სპარტაკთან“ — 5:0. ჭურაძემ ორივე მატჩში ბრწყინვალედ დაიცვა „ლოკომოტივის“ ღირსება და ვოვა მეტად კმაყოფილი დარჩა სერგოს თამაშით და ნაკრების კანდიდატთა სიაში შეიყვანა. ის კი არაო, — მითხრა, — თუ ასე გააგრძელა, ეროვნული ნაკრების მეკარეებსაც გაუწევს კონკურენციასო.

**— ახლა სად იმყოფება სერგო?**

— „ლოკომოტივი“ ახლა უეფას თასისთვის ემზადება და სერგოც ბულგარეთშია. მოსამზადებელი პერიოდის ერთი ეტაპი შეიძლება ბრაზილიაში გაიარონ.

**— თქვენ რას აპირებთ?**

— დიმიტარ პენევი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ქუვეითის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. მან მითხრა, რომ თუ არაფერი შეიცვალა, დამხმარედ წამიყვანს, ასე რომ, შესაძლოა სექტემბრიდან ქუვეითს გავემგზავრო...

მამუკა კვარაცხელია



**Грузинецът Чурадзе тренира с „Локо“ (Сф)**


უნივერსალური საბანკო მომსახურება

„დისკონტ-ბანკი“

ნებისმიერ ვალუტაში, თქვენთვის მისაღები ტარიფებით
საქართველო, 380062 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 39ა,
მეორე სართული
ეკონომიკური დირექცია. ტელ. 29-02-26
სავალუტო დირექცია. ტელ. 23-01-14
საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსგების დირექცია.
ტელ. 23-03-83




გოგი ახვლედიანის სვეტი

## კენწლაობა და ფეხბურთი ჩვენს სტადიონზე

ამ ბოლო დროს რომელ რედაქციაშიც არ შევიარე, ყველგან დამხვდა ერთი ყმაწვილკაცის ფოტო; ამ ფოტოებზე აღბეჭდილი იყო ბურთის მკენწლავი ახალგაზრდა.

ცხადია, ეს სარეკორდსმენოდ გამზადებული ვინმე იყო და სარედაქციო მაგიდებზეც ამიტომ მოხვდა.

ამ ყმაწვილის სახელი დღეს ცნობილია, მას გოდერძი ჰქვია, თუმცა მე რომ პირველად შევამჩნიე, „დინამო“ — „ალანიას“ დიდი პოლიტიკური შეხვედრის დროს, მაშინ სახელიც კი არ ვიცოდი. არ ვიცოდი და ნუ ვიცოდი, ამ ჩვენს სვეტში მაინც მოვიხსენიე, რადგან ძალიან დიდხან კენწლავდა თავით ბურთს და მისი მოთმინება და მონდომება შესაშური იყო.

ახლა კი, თასის ფინალის მსვლელობისას, მსოფლიო რეკორდი დაუმყარებია.

სწორედ ამ ამბამდე ორიოდ დღით ადრე, რუსულ პროგრამაში აჩვენეს ერთი კორეელი ბიჭი, რომელსაც თვით კენწვლის ახალი რეკორდი დაამყარა. და იგი კორეაში 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ჩატარებისათვის ბრძოლის კამპანიას მიუძღვნა.

მახარაძეს და მის გულშემატკივარ მსაჯებს ალბათ ნანახი ჰქონდათ ეს რეპორტაჟი და რეკორდიც ამის მიხედვით გაიანგარიშეს.

მახარაძის მსოფლიო (საგინესო) რეკორდისკენ სვლა შუადღისას დაიწყო და სათასო ფინალის ძირითადი დროის მიწურულს დასრულდა. მას შემდეგ, რაც რეკორდი მოხსნილად დაიგულა, მახარაძე კენწვლა-კენწვლით დასავლეთ ტრიბუნისკენ დაიძრა (მანამდე ჩრდილოეთ ტრიბუნის კუთხეში, მასამე სექტორის ქვემოთ იდგა) და სწორედ აქ მოექცა მაყურებელთა გულის და თვალის არეში.

სათასო სანახაობა, მახარაძის სანახაობად გადაიქცა და მაყურებელმა, ვინც ფრედ და დაძაბულად მიმდინარე, ოდნავ დუნე ფინალის ცქერაში იყო ჩართული, რეკორდსმენზე გააბა ლაპარაკი

სანახაობა სანახაობაში. მსოფლიო რეკორდსმენი და ქვეყნის თასის ფინალი. ამ ორი მოვლენის ერთად ჩატარდება მხოლოდ მსოფლიოს ერთ ქვეყანაში, საქართველოში მოხერხდებოდა.

აბა წარმოიდგინეთ: უებლი, ინგლისის თასის ფინალის ბოლო წუთები, ამ დროს მოედნის გვერდით მყარდება მსოფლიოს რეკორდი ბურთის კენწვლაში. ან, ამასწინათ ჩატარებული საფრანგეთის თასის ფინალი და პარკ დე პრენსზე გამართულ ამ ბრძოლას სხვა სანახაობაც დაურთეთ. არ გამოვა.

ხალხი უყურებდა ხან ფინალს, ხან რეკორდსმენს — ფეხბურთის ბოლო წუთებშიც კი. მერე რა რომ მოედანზე გადამწყვეტი არაფერი ხდებოდა. გოდერძი მახარაძე დღის გმირად ქცეულიყო.

მაყურებელი მის გამო საუბრობდა. ზოგი აქებდა, ზოგი უაზრობად თვლიდა ამგვარ სარეკორდო ბრძოლას, უშელავათოს და ასე ვთქვათ, დამღლელს.

ხუმრობდნენ კიდეც. ერთნი კეთილგანწყობილად, ჯუმბერ ლეჟავას და სხვა საგინესო ამბების გახსენებით, მეორენი, მწარედ.

ერთმა ცუდმა ბიჭმა ისიც კი თქვა, მე შემიძლია ამ რეკორდის ჩაშლა, ისე რომ არც დამიჭერენ და არც არაფერიო, ე. ი. ქვემოთ კი არ ჩავალ და ბურთს კი არ გადავუგდებ ამ წესიერ კაცს, არამედ სტადიონის რადიოკვანძში მივალ და გამოვაცხადებ, გოდერძი მახარაძეს სასწრაფოდ სთხოვენ, მთავარ შესასვლელთან გამოცხადდესო. თუმცა ვეჭვობ, რომ რეკორდსმენი ამას წამოგებულიყო.

ერთმა ვალმოხდილმა და სხვათა ჭკუის სწავლების მოყვარულმა ასეც განაცხადა: კარგა ჯანიანი ბიჭი ჩანს ეს ჩვენი გოდერძი და რამდენჯერაც ბურთს აჰკრა თავი, იმდენჯერ რომ თოხი დაეკრა მიწისთვის, დიახაც უზრუნველყოფილი ვიქნებოდით სიმინდის და ხორბლის კარგი მოსავლითო.

რა კავშირი აქვს გინესის წიგნს და თოხს, ძნელი სათქმელია, თუმცა, ალბათ, თოხითაც შეიძლება რაიმე რეკორდის დამყარება. მავანმა ხომ კბილით გახსნა უამრავი ბოთლი. გოდერძიმ არ უნდა უგდოს ყური ასეთი ჭკუის დამრიგებლებს და მიზანსწრაფულად უნდა განაგრძოს გზა ახალი სიმაღლეებისკენ გინესის წიგნში. ო, გინესი აფასებს გარჯას...

მერე კი თამაში გაგრძელდა.

ასე იყო და რა ვქნა?

გოდერძი კი, წინ, მსოფლიო აღიარებისკენ!

# ისინი ინგლისს მიდიან

თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმაც შეარჩია მისთვის სასურველი 22 მოთამაშე: რუშუ რაჩბერი (ფენერბაჰჩე), ადნან ერქანი (ანკარაგიუჯიუ), შაიერ გოიმენი (ალთაი); რეჯეფ ჩეთინი (ბეშიქთაში), ალფაი ოზალანი (ბეშიქთაში), ოგუნ თემიზქანოღლუ (ტრაბზონსფორი), რაჰიმ ზაფერი (გენჩლერბირლიგი), ბულენი ქორქმაზი (გალათასარაი); ვედათ ინსეეფი (ქარაბუქსფორი), თუგაი ქერიმოღლუ (გალათასარია), ოგუზ ჩეთინი (ფენერბაჰჩე), ტაიფუნ ქორქუთი (ფენერბაჰჩე), სერგერ იალჩინი (ბეშიქთაში), აბდულა (ტრაბზონსფორი), თოლუნაი ქაფქასი (ტრაბზონსფორი); ერთუგრულ საგლამი (ბეშიქთაში), ჰამი (ტრაბზონსფორი), ორჰანი (ტრაბზონსფორი), ჰაქან შუქური (გალათასარაი), არიფ ერდემი (გალათასარაი), ფარუქი (ქოჯაელისფორი), საფეთ სანსაქლი (ქოჯაელისფორი).

## ის ველარ მიდის

იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" მცველი ჩირო ფერარა წინა ოთხშაბათს ბელგიელებთან თამაშისას დაშავდა და არიგო საკი იძულებული შეიქნა იგი საბოლოო განაცხადში შეეცვალა. მისი ნაცვალია „ლაციოს" 21 წლის მოთამაშე ალესანდრო ნესტა. ნესტა ქვეყნის 21 წლამდე ნაკრების წევრია და ახლახან ბარსელონაში კონტინენტის ახალგაზრდათა ჩემპიონატში მონაწილეობდა.

## ანტონიო მატარეზეს სასამართლო ელის

იტალიის სასამართლომ დაადგინა, რომ 19 ნოემბრიდან დაიწყება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ანტონიო მატარეზეს და კიდევ ათი პიროვნების საქმის გარჩევა. მატარეზეს და კომპანიას ბრალად ედებათ 1993-94 წლების სეზონში „ტორინოს", 94-95-ში კი სერია A-ში „ნაპოლის", სერია B-ში კი „კოზენცას" წესის დარღვევით რეგისტრირება. ეს გუნდები ფინანსური თვალსაზრისით საკუთრივ ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

FRANCE 98

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

### ევროპა

შვედეთი 5:1 ბელარუსი
ისლანდია 1:1 მაკედონია
ნორვეგია 5:0 აზერბაიჯანი
იუგოსლავია 6:0 მალტა
სან მარინო 0:5 უელსი

### აფრიკა

I წრე
ბურუნდი 1:0 სიერა ლეონე
კონგო 2:0 კოტ დივუარი
გამბია 2:1 ლიბერია
გვინეა ბისაუ 3:2 გვინეა
კენია 3:1 ალჟირი
მადაგასკარი 1:2 ზიმბაბვე
მალავი 0:0 სამხ. აფრიკა
მავრიტანია 0:0 ბურკინა ფასო
მავრიკეთი 1:5 ზაირი
ნამიბია 2:0 მოზამბიკი
რუანდა 1:3 ტუნისი
სუდანი 2:0 ზამბია
სვაზილენდი 0:1 გაბონი
ტოგო 2:1 სენეგალი
უგანდა 0:2 ანგოლა

### სამხრეთ ამერიკა

ეკვადორი 2:0 არგენტინა
პერუ 1:1 კოლუმბია
ურუგვაი 0:2 პარაგვაი
ვენესუელა 1:1 ჩილე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეკვადორი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| კოლუმბია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვენესუელა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჩილე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ბოლივია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |


# სააგენტო „მინერვა"

მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;
— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

ყველაფერი ეს — ჩვენთან!

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი", ცენტრალური შესასვლელი.

ტელ: 93-22-53


# პეხნიჩეკი წაგებით ბრუნდება

### ამხანაგური მატჩი

**რუსეთი 2:0 პოლონეთი**

**რუსეთი:** ხარინი, რადიმოვი (შალიმოვი 86), თეთრაძე, ციმბალარი (დობროვოლსკი 60), კოვტუნი, კარპინი, ონოპკო (ნიკიფოროვი 46), კანჩელსკისი, კოლივანოვი (ბესჩასტნიხი 46), იანოვსკი, კირიაკოვი (სიმუტენკოვი 46)
**პოლონეთი:** შჩესნი, იუჟვიაკი, ჟელინსკი, რატაიჩიკი, გესიორი, მიხალსკი, პიში, ლევანდოვსკი, იუსკოვიაკი (ბუკალსკი 46), კოვალჩიკი (საგანოვსკი 36), ივანი (იასკულსკი 46)
1:0 კოვტუნი (21), 2:0 ბესჩასტნიხი (75)
**გაფრთხილება:** იუჟვიაკი (24), მიხალსკი (86), დობროვოლსკი (90)
**მსაჯები:** ტატულიანი, შევჩენკო, ავდიში (უკრაინა)
2 ივნისი, მოსკოვი, „დინამოს" სტადიონი. 16 ათასი მაყურებელი (ეტევა 54 000). 32 გრადუსი სითბო.

რუსეთის ნაკრებთან სათამაშოდ პოლონელთა ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ანტონ პეხნიჩეკმა, რომელსაც ამ რანგში ზუსტად ათი წლის წინ ვიცნობდით, ახალ დანიშვნის შემდეგ პირველ მატჩში მხოლოდ და მხოლოდ სამ ლეგიონერს უხმო: ტომაშ ივანს (ჰოლანდიის „ფეიენოორდი"), ანჯეი იუსკოვიაკს („ოლიმპიკოსი", საბერძნეთი) და ვიოცეხ კოვალჩიკს („ბეტისი", ესპანეთი).

ისეთ ძლიერ ნაკრებთან თამაშისას, როგორიც რუსეთია, პოლონელები საკუთარ ნახევარზე არ ჩაიკეტნენ და ამჯობინეს, ღია ფეხბურთი ეთამაშათ, თუმცა დასაწყისის რამდენიმე წუთში ყველაფერი პირუკუ იყო: რუსების ნაკრების უპირატესობა აშკარაა; მატჩის დებიუტში, მსოფლიო კლასიფიკაციაში მესამედ აღზევებულმა რუსე-



ანჯეი იუსკოვიაკი

თის ნაკრებმა რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი შექმნა, ორჯერ ჰქონდა გოლის გატანის შანსი კოლივანოვს, მაგრამ ჯერ ხუთიოდე მეტრიდან ძელს მცირედით ააცილა, მერე კი, კარპინის გადაცემის შემდეგ შეუჩერებლივ რომ ურტყამდა, სულაც ძელს გაარტყა.

პირველი ტაიმის შეაგულში პოლონელებმა ნელ-ნელა იწყეს თამაშის გათანაბრება. ყველაზე უკეთ თამაშობდნენ ვარშავის „ლეგიის" ლიდერი, ნახევარმცველი ლეშეკ პიში და მისი თანაგუნდელები რადოსლავ მიხალსკი და კშიშტოფ რატაიჩიკი. ეს სამეული კარგად აწყობდა თამაშს მინდვრის შუაგულში, რამაც პეხნიჩეკის გუნდს კომბინაციური მოქმედების საშუალება მისცა. მცველი რატაიჩიკი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ქინქლაძისა და ყაველაშვილისთვის კარგად ცნობილ ანდრეი კანჩელსკისს ზოგჯერ ვერ უმკლავდებოდა, ინგლისის ჩემპიონატის ამ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს მაინც არ აძლევდა სრულ გასაქანს. მეორე ტაიმში კი რატაიჩიკმა დაგვარწმუნა, რომ მეტოქის შეტევების ჩაშლასთან ერთად შეტევებში ჩართვა და თანაგუნდელთა მიხმარებაც ეხერხება.

სხვათა შორის, ნაკრებში მიწვეულმა პოლონელმა ლეგიონერებმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს და, ბოლოსდაბოლოს, მწვრთნელმა გამოცვალა კიდეც ისინი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კაპიტნის სამკლაურიანმა კოვალჩიკმა 36-ე წუთზე მინდორი იმიტომ დასტოვა, რომ მატჩის დებიუტში ვე მცირე ტრავმა მიიღო.

თანაბარი თამაშის მიუხედავად (განსაკუთრებით მეორე ტაიმში), აშკარად იგრძნობოდა რუსეთის ნაკრების უპირატესობა კლასში — ტექნიკაშიც და ტაქტიკაშიც რუსები აშკარად სჯობდნენ მეტოქეს. ერთადერთი, რამაც შემაცბუნა, რუსების მხრიდან საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი გახლდათ — კარში დარტყმული 18 ბურთიდან კარის ჩარჩოში მხოლოდ 6 წავიდა. მიუხედავად იმისა, ამ უზუსტობას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია — რუსეთის ნაკრებს უნდა მოეგო და მოიგო კიდეც.

პირველი გოლი კოვტუნმა ციმბალარის მიერ კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ გაიტანა. რუსეთის ნაკრების მცველი ყველაზე მაღლა ახტა და თავით ახლო კუთხეში ისე გაგზავნა ბურთი, მეკარეს შანსი არ დაუტოვა. რამდენიმე წუთით ადრე კი — ზუსტად ასეთივე კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ — იმავე კოვტუნმა შორეულ კუთხეში, ასევე თავით გაგზავნა ბურთი, რომელმაც კარს ნახევარ მეტრში ჩაუქროლა.

მეორე გოლმა მატჩი ლოგიკურად კი დაასრულა, მაგრამ იგი, ადვილი შესაძლებელია, არც გასულიყო: პოლონელთა გოლკიპერი შჩესნი, ამ მატჩში უფრო სახიფათო მომენტებში ბევრჯერ რომ იხსნა კარი, მოულოდნელად წამით შეყოვნდა კარიდან გამოსვლისას და მისი ეს წამიერი შეცდომა საკმარისი აღმოჩნდა ბრემენის „ვერდერის" ფორვარდ ვლადიმერ ბესჩასტნიხისთვის, რათა ნიკიფოროვის პასის შემდეგ ზუსტი დაბალი ბურთი გაეგზავნა მეკარისგან შორეულ კუთხეში — 2:0.

მატჩის მიწურულს კი ძალზე უხეშად ეთამაშა მეტოქეს დობროვოლსკი და მსაჯისგან მყის ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

## ანტონ პეხნიჩეკი: ერთადერთი, რაც საქართველოს ნაკრებს აკლია, გამოცდილებაა

მატჩის შემდეგ პოლონელთა მთავარ მწვრთნელს ანტონ პეხნიჩეკს გავესაუბრე:

**— როგორი შთაბეჭდილება დატოვა შეხვედრამ?**

— ძალიან კარგი. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებელი კმაყოფილი დარჩა, მით უფრო, რომ რუსეთმა გაიმარჯვა. სიტყვამ მოიტანა და, თქვენი გუნდი ძალიან მომეწონა.

**— რუს ჟურნალისტთაგან ბევრისთვის მათი ნაკრების დამაჯერებელი გამარჯვება მოულოდნელი იყო...**

— რუსებმა უდაოდ ღირსეულად გაიმარჯვეს. გავიგე, როგორ შეგვაქო ოლეგ რომანცევმა და თქვა, რომ უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს, უბრალოდ, თავაზიანი ნათქვამი იყო. ანგარიშმა ძალთა შეფარდება ასახა, თუმცა, ვგონებ, შედეგი მაინც 3:1 ან 4:2 უნდა ყოფილიყო. ორივე გუნდმა რამდენიმე კარგი მომენტი გაუშვა ხელიდან. მინდა დავძინო, რომ თქვენი და ჩვენი ნაკრებების შედარება ახლა უაზრობაა. რუსეთის და პოლონეთის გუნდები სხვადასხვა ამოცანის წინაშე დგანან და სხვადასხვანაირად არიან მომზადებულნი. ჩვენ მებრძოლი გუნდის შექმნას ახლა ვიწყებთ, რომანცევს და მის კოლეგებს კი თავიანთი გუნდი ორიოდ დღეში ევროპის ჩემპიონატზე მიჰყავთ. ამიტომაც ჩვენს დღევანდელ მარცხში გასაკვირი არაფერია. მეტიც, ჩემი ნაკრების თამაშით კმაყოფილი ვარ. მან ძლიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

**— თქვენი აზრით, ინგლისში გამგზავრების წინ რუსებმა რატომ პოლონელები ირჩიეს ბოლო მეტოქედ?**

— მიზეზი ალბათ ბევრია... ვფიქრობ, თქვენი მწვრთნელები თვლიდნენ, რომ ჩვენს გუნდთან ღია ფეხბურთის თამაში შეიძლება. მე ვნახე რუსეთის ნაკრების წინა საკონტროლო შეხვედრა არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან. იქ, პრინციპულად, სხვანაირი თამაში იყო. რუსების მეტოქეები საჯარიმოს წინ განლაგებულიყვნენ და შეძლებისდაგვარად იგერიებდნენ ბურთს.

**— ყველაზე მეტად რა მოგეწონათ რუსეთის ნაკრებში?**

— უპირველესად, მოქმედებათა ორგანიზაცია. ყველა მოთამაშემ იცის თავისი ამოცანა. ისინი [illegible] არ ანიჭებენ, ამიტომაც რუსეთის ნაკრების მოქმედებაში პოზიციური შეცდომები პრაქტიკულად არ იყო. მეორე: მენდა [illegible] შნო საუცხოო ფიზიკური მომზადება. მოთამაშეებმა ჩემპიონატის წინ ფორმის მწვერვალის მიღწევა შეძლეს; მესამე: მომეწონა თქვენი ფეხბურთელების აგრესიულობა. ინგლისში ეს მეტად გამოგადგებათ.

**— ზოგი რუსი ჟურნალისტი თვლის, რომ რომანცევის გუნდის მთავარი ნაკლი აშკარა ლიდერთა არყოლაა.**

— ამ აზრს არ ვიზიარებ. სახელდახელოდ გეტყვით რამდენიმე გვარს: ონოპკო, ნიკიფოროვი, ციმბალარი... ერთი სიტყვით, რუსეთის ამ ნაკრებში ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეები საკმაოდ არიან. მათ შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა და თანაგუნდელთა გაძღოლა. მეორე მხრივ, თქვენი ნაკრების კოზირი მართლაც კოლექტიური თამაშია.

**— და მაინც, რა ნაკლი შეამჩნიეთ რუსეთის ნაკრების თამაშში?**

— ... თქვენს გუნდს შეტევაში აქვს პრობლემები. ბევრ მომენტს ვერ იყენებენ.

**— როგორ აფასებთ რუსეთის შანსს ინგლისში?**

— გულწრფელად გეტყვით: იტალიელები და გერმანელები გაცილებით მეტ პრობლემას შეგიქმნიან, ვიდრე ჩვენ დღეს შეგიქმენით, მაგრამ, ვფიქრობ, რომ რომანცევს და მის ქვეშევრდომებს თუნდაც მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსი აქვს. სრულიად გულწრფელად ვუსურვებ მათ ინგლისში წარმატებას.

**— იცნობთ თქვენი მომავალი მეტოქის, საქართველოს ნაკრების თამაშს?**

— მე ვნახე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო თამაშები და საქართველოს ნაკრები მომეწონა. მის შემადგენლობაში მდიდარი ტექნიკური არსენალის მქონე ბევრი ფეხბურთელია. ქართველები ტაქტიკურად გამართულად აწყობენ თამაშს და ერთადერთი, რაც ამ გუნდს აკლია, ალბათ საერთაშორისო შეხვედრებში თამაშის გამოცდილებაა.

**— აპირებთ საქართველოსთან თამაშის წინ მათი შეხვედრების ნახვას?**

— ქართველებთან თამაში ერთი წლის შემდეგ გვიწევს, ამიტომაც უფრო მეტი ყურადღებით მეტოქეს შეხვედრის მიახლოვებისას შევისწავლი.

**— თქვენი აზრით, როგორ შეიძლება წარიმართოს ქართველებთან ჩასატარებელი ორი თამაში?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს, რადგან ამ გუნდის პოტენციალი ისე კარგად მაინც არ ვიცი. თანაც, როგორც ვთქვი, ჩვენს შეხვედრამდე მთელი წელიწადია. ამ დროში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

**— რა აზრის ბრძანდებით ქართველ ლეგიონერებზე: ქინქლაძეზე, ყაველაშვილზე, ძმებ არველაძეებსა და რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებზე?**

— იმ შეხვედრებში, მე რომ ვნახე, ისინი საუკეთესო მხრიდან გამოჩნდნენ. ქვეყნებში, სადაც ისინი თამაშობენ, შესამჩნევ როლს ტყუილად როდი თამაშობენ.

**რომან გოლუბევი**
**„სპორტ-ექსპრესის" საფეხბურთო მიმომხილველი**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

### ამხანაგური მატჩები

ბულგარეთი 4:1 საემიროები
ირლანდია 2:2 ხორვატია
ფინეთი 1:2 თურქეთი
უნგრეთი 0:2 იტალია
გერმანია 0:1 საფრანგეთი
შვეიცარია 1:2 ჩეხეთი
რუმინეთი 3:1 მოლდოვა
დანია 1:0 განა

## ვინ იქნება „ბათუმის" პოტენციური მეტოქე

პოლონეთის თასის ნახევარფინალში „რუხმა" მოუგო „პოგონს" 3:0. სამივე გოლი 44-ე, 59-ე და 86-ე წუთებზე სრუტვამ გაიტანა. „ბელხატოვმა" კი „ვიძევი" 2:1 სძლია პრუზენსკისა (44) და ბერენშტაინის (88 პ.) გოლებით. წაგებულთაგან თავი გულიამ (48) გამოიჩინა.

ფინალი 16 ივნისს ვარშავაში გაიმართება.

# ორიათასორის ორი მასპინძელი




იაპონია, კორეა თუ ორივე ერთად? ეს ბოლო ჟამს ერთ-ერთი უმთავრესი საფეხბურთო კითხვათაგანი იყო. ლაპარაკია 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების ადგილზე. აზიის ეს ორი განვითარებული ქვეყანა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა 21-ე საუკუნის პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ეგდო ხელთ. კორეელმა მორწმუნეებმა საამისოდ საგანგებო ლოცვაც კი აღავლინეს ბუდასადმი.

კორეა თუ იაპონია?

ორივე ერთად!. ასეთი იყო ციურიხიდან ფიფას პასუხი. ჩემპიონატის ერთდროულად ორ ქვეყანაში გამართვის იდეა უეფას ეკუთვნოდა. ევროპული ფედერაციის თავკაცის, შვედი ლენარტ იუჰანსონის მოსაზრება კი, ბუნებრივია, ფიფას პრეზიდენტს ჟოაო აველანჟს არ ეჭაშნიკებოდა. იგი ტრადიციის თანახმად, ერთი ქვეყნის მომხრე იყო, მაგრამ ენერგიულმა ოპოზიციონერმა იმძლავრა. მას მხარი აუბეს სხვა კონტინენტების საფეხბურთო გაერთიანებებმაც და საკუთრივ იაპონიამ და კორეამ, რომელთაც საბოლოო, ოთხსაათიანი დისკუსიის შედეგად შეთანხმებას მიაღწიეს.




ამგვარად, მსოფლიო ფეხბურთში ახალი ეპოქა იწყება — ეპოქა, სადაც დიდი შეჯიბრებები ერთდროულად ორ ქვეყანაში (მომავალში თუ არ გაასამეს) გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეჯიბრებათა მასპინძლობა მხოლოდ დიდი ქვეყნების უპირატესობა როდი იქნება. თუმცა, ამის საპირისპიროდ ფიფას გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი აცხადებს ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევააო.

მაშ ასე, უეფამ სიახლე დანერგა. 2000 წელს ევროპის ჩემპიონატს ბელგია — ჰოლანდია უმასპინძლებს, 2002-ში კი მსოფლიოს ჩემპიონატს კორეა — იაპონია.

რაც შეეხება შესარჩევი ბრძოლის გარეშე, პირდაპირ დაშვებული მასპინძლის ვინაობას, ამაზე ჯერ არაფერს იტყობინებიან.

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელ** მაურიციო გაუდინიოს, როგორც ჩანს, სამშობლოში დასაბრუნებელი პირი შერჩა. ერთ დროს ფრანკფურტის „აინტრახტში" ცხადაძის თანაგუნდელი ხომ მანქანების ყიდვა-გაყიდვა-დაზღვევასთან დაკავშირებული მაქინაციების გამო გაასამართლეს, რის შედეგადაც მექსიკას გაემგზავრა და იქაურ „ამერიკაში" დაიწყო თამაში. ახლახან გაუდინიომ განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან ბუნდესლიგიდან გავარდნილ „აინტრახტში" დაბრუნდება.

**საფრანგეთიდან** ფეხბურთელთა ემიგრაცია გრძელდება. „ნანტის" ფორვარდს, რუსული კლუბების რისხვას ნიკოლა უედეკს, რომელიც ტრავმამ ევროპის ჩემპიონატს გამოაკლო, „ბარსელონა" ურიგდება, კორენტინ მარტენსზე „დეპორტივო ლა კორუნიას" უჭირავს თვალი. უეფას თასის ფინალისტი „ბორდო" ხომ საერთოდ გაცამტვერდა. მოგეხსენებათ, გუნდს სტოვებენ ზიდანი, ვიჩხე, ლიზარაზუ, დუგარი, ფრიც-ჰანსენი, დუტუელი და ბანკარელი. წავიდა მწვრთნელი, ადრე „ბაიერნში" ნათამაშები ჟერონ რორიც. ამის შემხედვარე, გაიქცნენ პრეზიდენტი ალენ აფლელი და ვიცე-პრეზიდენტები ჟან-ბერნარ ლანჟი და მიშელ ბენგიგი.მოკლედ, კლუბში დამლაგებელიღა დარჩა, თუმცა მოხდა ცვლილებებიც. გუნდის ახალი მწვრთნელია როლან კურბისი, რომელსაც სურს შეიძინოს: სტეფან მაე (პსჟ-დან), სილვენ დეპლიასი (ლიონიდან), სტეფან ზიანი (რენიდან), იბრაიმუ ბა (ლე ავრიდან) და, რაც მთავარია, „ბაიერნის" ჟან-პიერ პაპენი. „ნიცას" თავდამსხმელი სამუელ იპუა მილანის „ინტერმა" 550 ათას დოლარად შეიძინა, მაგრამ „ატალანტას" ათხოვა.

**ისრაელის** თასი მოიპოვა თელ ავივის „მაკაბიმ", რომელმაც ფინალში მოუგო „აირონი რიშონს" 4:1. ეს თელ-ავივის გუნდის მე-19 გამარჯვება იყო ეროვნულ თასზე. იგივე გუნდები ფინალში 1946 წელსაც შეხვდრიან ერთმანეთს. გამარჯვება მაშინაც „მაკაბის" ხვდა. „მაკაბი" წლეულს ჩემპიონიც გახდა, რითაც თავისი დუბლების რაოდენობა შვიდამდე გაზარდა. წინა დუბლი მან 1977 წელს მოიპოვა.

**ესპანეთში** მადრიდის „რეალის" ლუის ენრიკე ხუთი წლით „ბარსელონაში" გადავიდა. 26 წლის ფეხბურთელი კარიერის დასაწყისში თავდამსხმელი იყო, შემდეგ კი მეკარის გარდა ყველა ამპლუაში სცადა ბედი.

**არგენტინის** ჩემპიონატში „ველეზ სარსფილდის" მეკარემ ლუის შილავერმა მეორე გოლი გაიტანა. ეს „ველეზ სარსფილდისა" და „ლანუსის" შეხვედრაში მოხდა, რომელიც 5:1 დამთავრდა. შილავერმა, რომელიც პარაგვაელია და თავისი ქვეყნის ნაკრების კარს იცავს, იმ მატჩში 43-ე წუთზე პენალტი შეაგდო. რაც შეეხება პირველ გოლს, იგი გოლკიპერმა „რივერ პლეიტს" თავის ნახევარზე დანიშნული ჯარიმიდან გაუტანა.

**პორტუგალიის** პარლამენტმა განაცხადა, რომ ქვეყნის წამყვან საფეხბურთო კლუბებს ბეგარათა გადახდაში დაეხმარება, მაგრამ იქვე მკაცრად დასძინა, რომ ეს უკანასკნელად ხდება. თურმე კლუბებს, ჯამში, 75 მილიონი დოლარი დაგროვებიათ.

**საფრანგეთში** პსჟ-ს მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა თანამდებობა დათმო. ფერნანდესი აწი პარიზული კლუბისთვის სასელექციო სამუშაოს გასწევს. მან უარი თქვა „კალიარიში" მწვრთნელად გადასვლაზე.

**ხორვატი** თავდამსხმელი ალენ ბოკშიჩი „ლაციოდან" „იუვენტუსში" გადავიდა. 26 წლის ფორვარდმა „ბებერ ქალბატონთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. გარიგების თანხაზე არაფერია ცნობილი. ბოკშიჩმა განაცხადა, რომ თავიდან „იუვეში" გადასვლას არ აპირებდა, მაგრამ ბოლო ხანს წამოჭრილმა პრობლემებმა ეს გადაწყვეტილება მიაღებინა. მისივე თქმით, ახალ გუნდში იგი უფრო გამთამაშებლად სჭირდებათ, ვიდრე გოლდამშენად.

**ინგლისურ** „ლივერპულს" საფრანგეთის პირველ დივიზიონში ახალდაბრუნებული „მარსელისაგან" 23 წლის ფორვარდის ჟან-კრისტოფ მარკეს შეძენა სურს. მარსელელთა ხელმძღვანელობის თქმით, „ლივერპულმა" მათ 10 მილიონი ფრანკი, ანუ 2 მილიონი დოლარი შესთავაზა. თავად მოთამაშემ კი განაცხადა, რომ უცხოეთში წასასვლელად თავს ჯერ ახალგაზრდად გრძნობს და ყველაფერს მარსელში დარჩენა და ბედის პირველ დივიზიონში ცდა ურჩევნია.

**რუმინელი** მცველი ტიბორ სელიმეში „სერკლ ბრიუგედან" „ანდერლეხტში" გადავიდა. კონტრაქტი ხუთწლიანია. სელიმეშს რუმინეთის ნაკრებში 27 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ეკრანი

სააქციო-საზოგადოება „ეკრანი" ერთი წლის გარანტიით გთავაზობთ იაპონური და კორეული ფირმების "HITACHI" და "ONVA"-ს ტელეაპარატურას მნიშვნელოვანი ფასდაკლებით

| | | |
|---|---|---|
| HITACHI 2191 | 480 ლარი | (მულტისისტემა) |
| HITACHI 2195 | 485 ლარი | (სრული მულტისისტემა) |
| HITACHI 2591 | [illegible] ლარი | (სრული მულტისისტემა) |
| ONVA K9621 | 380 ლარი | [illegible] |

[illegible] და საყოფაცხოვრებო დანიშნულების [illegible] ფასდაკლებით 2-3 % დათმობა.

[illegible] ამაზე იაფი უკვე ნახულია

[illegible] ... № 18



# შუმახერი უკეთ ცურავს

მონტე-კარლოს სენსაციური რბოლის შემდეგ ესპანეთში ქულების მოსაპოვებლად დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი. მოლოდინი არ გამართლდა და, მართალია, რბოლა საინტერესოდ ჩატარდა, მას სიმძაფრე მხოლოდ გადაუღებელმა წვიმამ შემატა. საბოლოო შედეგებიც მანვე განსაზღვრა. მონაკოსთან შედარებით აქ რბოლისათვის მეტად მძიმე პირობები იყო, მთელი ასპარეზობის განმავლობაში წვიმდა, თანაც ტრასაც ბევრად უფრო სწრაფია. რბოლა კი კატარღებით შეჯიბრს უფრო წააგავდა, ვიდრე ფორმულა 1-ის ბოლიდებით ასპარეზობას.



კვალიფიკაციაზე სიცხეში (ტრასის ზედაპირი 60 გრადუსამდე იყო გახურებული) ტრასაზე პირველები მინარდის პილოტები და ჰაკინენი გამოჩნდნენ. ამ უკანასკნელმა კი საუკეთესო დრო 1. 24, 283 აჩვენა, თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ პირველობა სალომ (1. 23, 505) იგდო ხელთ. 10 წუთში კი პირველ ადგილზე ფრენცენი (1. 23, 314) აღმოჩნდა. მაგრამ მალე ვილნევმა ორჯერ ზედიზედ ყველაზე სწრაფად გაიარა ტრასა და პირველიც იგი გახდა — 1. 21, 710, ცოტა ხნის შემდეგ კი ადგილი თანაგუნდელ ჰილს დაუთმო. შუმახერი ბევრს ეცადა, მაგრამ მეორე ადგილს ვერ გასცდა და ბოქსებში შევიდა საბურავების ახალი კომპლექტისათვის. იქიდან დაბრუნებულმა ცოტა ხნით კი, მაგრამ მალევე დაუთმო ვილნევს, თვითონ კი მეორეზე გადაინაცვლა. ამის შემდეგ ტრასა „მეორე ეშელონის" პილოტებს დარჩათ. სესიის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ლიდერები კვლავ გამოჩნდნენ ტრასაზე და ჰილმაც არ დააზანა, საუკეთესო დრო აჩვენა და მსოფლიოს ჩემპიონი, „უილიამსის" წყვილის შემდეგ მესამეზე აღმოჩნდა. ბოქსებში მცირე დასვენების შემდეგ, კვალიფიკაციის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე პირველობისათვის მებრძოლნი კვლავ დაუბრუნდნენ ტრასას. ტრადიციულად, სესიის მიწურულს შუმახერი „პოულის" მოპოვებას ახერხებს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა (ტრასა ამ დროს საკმაოდ გადატვირთული აღმოჩნდა) და პირველობა ჰილს (1. 20, 650) დაუთმო, რომლის საკვალიფიკაციო დრომაც სტარტზე გამოსვლის იმედი გადაუწურა „ფორტის" პილოტებს (ისინი კვლავ 107 პროცენტიანი ბარიერის მიღმა აღმოჩნდნენ. „ფორტი-ფორდის" ახალი მოდელიც ვერ დაიკვეხნის სისწრაფით და პილოტებიც ვერ არიან შედარებით მაღალი დონის).

კვალიფიკაციის საბოლოო ასეთი იყო: ჰილი (უილიამს-რენო) — 1. 20, 650; ვილნევი (უილიამს-რენო) 1. 21, 084; შუმახერი (ფერარი) — 1. 21, 587; ალეზი (ბენეტონ-რენო) — 1. 22, 061; ბერგერი (ბენეტონ-რენო) — 1. 22, 125; ირვაინი (ფერარი) — 1. 22, 333; ბარიჩელო (ჯორდან-პეჟო) — 1. 22, 379; პანი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) — 1. 22, 685; ფრენცენი (ზაუბერ-ფორდი) — 1. 23, 027; ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) — 1. 23, 070; ჰერბერტი (ზაუბერ-ფორდი) — 1. 23, 195; სალო (ტირელ-იამაჰა) — 1. 23, 224; ვერსტაპენი (ეროუზ-ჰარტი) — 1. 23, 371; კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) — 1. 23, 416; ბრანდლი (ჯორდან-პეჟო) — 1. 23, 438; კატაიამა (ტირელ-იამაჰა) — 1. 24, 401; დინიცი (ლიჟიე-მუგენ-ჰონდა) — 1. 24, 468; ლამი (მინარდი-ფორდი) — 1. 25, 274; ფისიჩელა (მინარდი-ფორდი) — 1. 25, 531; როსეტი (ეროუზ-ჰარტი) — 1. 25, 621.

„უილიამსის" პილოტების უპირატესობა აშკარა იყო და თითქმის ერთწამიანი ჩამორჩენა შუმახერს კარგს არაფერს უქადდა რბოლაში. მაგრამ კვირას დილიდანვე გაწვიმდა და პილოტებიც სტარტზე წყლით გაჟღენთილ ტრასაზე გამოვიდნენ.

რბოლის წინ ორგანიზატორებმა კარგა ხანს ვერ გადაწყვიტეს, უსაფრთხოების მიზნით სტარტი სვლიდან („პეის-კარის" ტრასაზე გაშვებით) მიეცათ, თუ ჩვეულებრივ ადგილიდან. საბოლოოდ რბოლა ტრადიციულად „ადგილიდან" დაიწყო. გასახურებელი წრის დასაწყისში სალოს „ტირელი" ადგილიდან ვერ დაიძრა, იგი ბოქსებში შეაგორეს და რბოლაც აქედან დაიწყო.

სტარტი ყველაზე უკეთ ვილნევმა აიღო და პირველ მოსახვევში ლიდერები ასეთი თანმიმდევრობით შევიდნენ: ვილნევი, ალეზი, ჰილი, ბერგერი, ბარიჩელო, შუმახერი. აქვე ლამიმ, როსეტმა და კულჰარდმა ვერ დაიმორჩილეს ბოლიდები და რბოლას გამოეთიშნენ, ერთი წრის შემდეგ კი მათ პანი, ფისიჩელა და ირვაინი მიჰყვნენ.

წვიმა ცოტაოდენ უზუსტობასაც არ პატიობდა პილოტებს, სიჩქარის მომატების საშუალებას არ აძლევდა და ვინც ეს გაბედა (ჰერბერტი, ჰილი, ბრანდლი), ტრასის მიღმა აღმოჩნდა, თუმცა უკანდაბრუნება კი მოახერხეს, მაგრამ რამდენიმე ადგილით ჩამოქვეითდნენ. ჰილი მაინც ცდილობდა დაკარგული დრო აენაზღაურებინა, მაგრამ ეს სიჯიუტე კიდევ ორჯერ მოცურებად დაუჯდა.

ამასობაში შუმახერმა ტემპს უმატა, ბერგერს და ბარიჩელოს გაასწრო, მეორე ადგილზე მყოფ ალეზის ჩაუდგა კვალში და ერთ-ერთ მარცხენა მოსახვევში შიგა მხრიდან გაასწრო კიდეც, რაც ასეთ ამინდში დიდ ოსტატობას მოითხოვს და გარკვეულ რისკთანაც არის დაკავშირებული. ვილნევი იდეალური ტრაექტორიით გადიოდა მოსახვევებს და გასწრების საშუალებას არ აძლევდა წამოწეულ გერმანელს, რომელიც ჟაკზე ოდნავ გვიან ამუხრუჭებდა და მოსახვევებში ეწეოდა მას, სწორზე კი კანადელი კვლავ ახერხებდა დისტანციის აღდგენას.

მეათე წრეზე, სტარტის სწორზე შესვლისას ჰილი კვლავ მოცურდა (!), ერთხანს იბზრიალა, ბარიერს შეეჯახა და ამ სეზონში მეორე რბოლა ვერ დაამთავრა. ამავე წრეზე შუმახერმა მარცხენა მოსახვევში, სადაც ცოტა ხნის წინ ალეზის გაუსწორდა, ისევ შიგა მხრიდან ტუეპისცალი მანევრით ვილნევიც ჩამოიტოვა და თანდათან დაშორდა კიდეც მას. მე-15 წრეზე კი უკვე 15 წამს უგებდა. წვიმას არ გადაუღია და პილოტებიც აგრძელებდნენ მოსახვევებში ბზრიალსა და უსაფრთხოების ზონაში ტალახის ზელას, თუმც ზოგი მათგანი ახერხებდა ტრასაზე დაბრუნებას და ასპარეზობის გაგრძელებას.

25-ე წრეზე მსოფლიო ჩემპიონი ბოქსებში შევიდა და ახალი საბურავებით და საწვავის მარაგით 7,2 წამში კვლავ პირველ ადგილზე 23-ე წამიანი უპირატესობით დაბრუნდა. ხუთიოდე წრის შემდეგ მისი „ფერარის" ძრავმა ხმა იცვალა, როგორც ჩანს, რაღაც დაზიანდა, თუმც ლიდერის სისწრაფეს არაფერი შეტყობია. 30-ე წრეზე ბოქსებს ალეზიმ მიაკითხა (11,9 წამი) და ტრასაზე მეშვიდე ადგილზე, ვერსტაპენის (რომელიც ცდილობდა ფრენცენს წამოსწეოდა და გაესწრო) შემდეგ დაბრუნდა. ექვსი წრის შემდეგ მეორეზე მყოფმა ვილნევმაც შეცვალა საბურავები და საწვავი შეივსო (10,0 წამი), ტრასაზე დაბრუნების შემდეგ ალეზის უკან აღმოჩნდა, მეორე ადგილი კი ბარიჩელოს დარჩა. მე-40 წრე პილოტებმა ასეთი მიმდევრობით დაამთავრეს: შუმახერი, ბარიჩელო, ალეზი, ვილნევი, ბერგერი, ფრენცენი, ვერსტაპენი, ჰაკინენი, დინიცი. ლიდერი მეორეჯერაც შევიდა ბოქსებში (8,7 წამი) და კვლავ პირველ ადგილზე დაბრუნდა. 43-ე წრეზე ბარიჩელომაც შეივსო საწვავი და რბოლას მეოთხე დაუბრუნდა, თუმც ერთი წრის შემდეგ კვლავ მიუტრიალდა და მექანიკოსებს და ასპარეზობა მხოლოდ 10 წუთის (!) შემდეგ გააგრძელა, მაგრამ ტრასაზე დიდხანს ვერ გაძლო და მაყურებლებში გადაინაცვლა. მალე რბოლა ბერგერმაც დაამთავრა, ფინიშამდე 15 წრით ადრე კი ვერსტაპენიც სველი ტრასის მსხვერპლი გახდა და ტრასაზე ექვსი პილოტი დარჩა.

ბოლო 10-15 წრით ადრე დარჩენილთა შორის ყველაზე სწრაფი ვილნევი იყო, რომელიც ნელ-ნელა ეწეოდა ალეზის და მეორე ადგილზე გასვლის შანსიც გაუჩნდა, მაგრამ ერთი წრით ჩამორჩენილი ჰაკინენის გასწრებისას ოდნავ შეყოვნდა (თუმც ამ უკანასკნელმა კორექტულად გაატარა ალეზიც და ვილნევიც) და მესამე ადგილზე დარჩა. საბოლოოდ, ეს მარათონული „გაცურვა" ექვსმა პილოტმა დაამთავრა, მსოფლიო ჩემპიონმა კი კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა, ამასთან პირველი „ფერარის" [illegible] პირველი ქულა მოიპოვა ბრაზილიელმა დინაცმაც, თუმც ლიდერს ორი წრით კი ჩამორჩა. პოდიუმზე გამარჯვებულ „მოცურავეებს" პრიზები და შამპანური ხუან-ანტონიო სამარანჩმა გადასცა.

პრეს-კონფერენციაზე კმაყოფილმა შუმახერმა განაცხადა: „კვალიფიკაციის შემდეგ ძნელი იყო გამარჯვებაზე ფიქრი, ამას ავდარიც დაერთო, მაგრამ მანქანის კარგად დარეგულირებამ და სწორი ტაქტიკის შერჩევამ გაგვამარჯვებინა.

მეორე ადგილზე გასულმა ალეზიმ კი თქვა, რომ სხვადასხვა პრობლემების შემდეგ იგი კვლავ ავიდა პოდიუმზე და მისთვის ჩემპიონატი თავიდან იწყება.

არც მესამეზე გასული ვილნევი იყო უკმაყოფილო და აღნიშნა, რომ 10 წრის შემდეგ მისმა საბურავებმა დაკარგეს თვისებები და შენელებამ მოუწია, მაგრამ წვიმაში მესამე ადგილის მოპოვებაც მისთვის კარგი შედეგია, ამასთან ის და შუმახერი ჰილს კიდევ უფრო მიუახლოვდნენ და ჩემპიონატიც უფრო საინტერესო იქნება.

**ალეკო ჟაბუკიანი**

VII ეტაპი
ესპანეთის „დიდი პრიზი"
ბარსელონა, „კატალუნია მონტმელოს" ტრასა, 2 ივნისი

დისტანცია: 65 წრე — 307,114 კმ
1. შუმახერი „ფერარი" 1:59.49,307 (153.785 კმ-სთ)
2. ალეზი „ბენეტონ-რენო" ჩამორჩა 45,302 წმ
3. ვილნევი „უილიამს-რენო" 48,388 წმ
4. ფრენცენი „ზაუბერ-ფორდი" 1 წრით
5. ჰაკინენი „მაკლარენ-მერსედესი" 1 წრით
6. დინიცი „ლიჟიე-მუგენ-ჰონდა" 2 წრით

საუკეთესო წრე — შუმახერი (ფერარი) 1.45,517 (161,274 კმ-სთ) მე-14 წრეზე

პირადი პირველობა: ჰილი 43 ქულა, ვილნევი 26, შუმახერი 26, ალეზი 17, პანი 11, კულჰარდი 10, ირვაინი 9, ჰაკინენი 8, ბერგერი 7, ბარიჩელო 7, ფრენცენი 6, სალო 5, ჰერბერტი 4, ვერსტაპენი 1, ბრანდლი 1, დინიცი 1

გუნდური პირველობა: უილიამსი — 69 ქულა, ფერარი 35, ბენეტონი 24, მაკლარენი 18, ლიჟიე 12, ზაუბერი 10, ჯორდანი 8, ტირელი 5, ეროუზი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

საერთაშორისო ამხანაგური მატჩები

4 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია — ლიხტენშტეინი | 1,01 | 5,0 | 25,0 |
| ჰოლანდია — ირლანდია | 1,3 | 2,8 | 5,6 |

5 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი — სომხეთი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ევროპის ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები

8 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — შვეიცარია | 1,3 | 3,0 | 6,7 |

9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპანეთი — ბულგარეთი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| გერმანია — ჩეხეთი | 1,3 | 3,2 | 5,7 |
| დანია — პორტუგალია | 3,0 | 2,8 | 1,8 |

10 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰოლანდია — შოტლანდია | 1,45 | 3,1 | 4,2 |
| რუმინეთი — საფრანგეთი | 3,6 | 2,9 | 1,6 |

11 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — რუსეთი | 1,4 | 3,1 | 4,7 |
| თურქეთი — ხორვატია | 5,7 | 3,6 | 1,25 |

ფსონების შესაძლო ცვლილებე! ადგილზე დააზუსტეთ

## ევროპის ჩემპიონატი

### ჯგუფიდან გასვლის ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,02 |
| იტალია | 1,03 |
| გერმანია | 1,05 |
| ჰოლანდია | 1,1 |
| ესპანეთი | 1,1 |
| საფრანგეთი | 1,3 |
| ხორვატია | 1,25 |
| რუსეთი | 2,4 |
| დანია | 1,4 |
| პორტუგალია | 1,25 |
| რუმინეთი | 2,0 |
| შოტლანდია | 2,2 |
| ბულგარეთი | 2,6 |
| ჩეხეთი | 5,0 |
| შვეიცარია | 5,0 |
| თურქეთი | 4,0 |

### ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,2 |
| იტალია | 2,2 |
| გერმანია | 2,5 |
| ჰოლანდია | 5,0 |
| ესპანეთი | 5,0 |
| საფრანგეთი | 7,0 |
| ხორვატია | 10,0 |
| რუსეთი | 10,0 |
| დანია | 15,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| რუმინეთი | 20,0 |
| შოტლანდია | 20,0 |
| ბულგარეთი | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| თურქეთი | 100,0 |

# ყურადღება!

1 ივნისიდან

## ტოტალიზატორი "CROCO"

მუშაობს კინოთეატრ „რუსთაველში“.

ტოტალიზატორი ფსონებს მიიღებს და მოგებებს გასცემს ჩვეული განრიგით:

სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას 13-დან 16 საათამდე.

## ევროპის ჩემპიონატის დროს ტოტალიზატორი იმუშავებს ყოველდღე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერცხალი ექვსი მაინც გვინდა

ჩვენი საკალათბურთო სეზონის ბოლო ერთობ დაძაბული, ფლეი-ოფის საკადრისი კი გამოდგა, მაგრამ მოულოდნელიც არაფერი მომხდარა — „ვითა" ზედიზედ მეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი ვერცხლისად და ბრინჯაოს მედლები კი „დინამო" და რუსთავის „ქიმიკოსმა" ირგუნეს.

ჩემპინატი, რა თქმა უნდა, ვერ იყო სრულფასოვანი, ანდა როგორ იქნებოდა, როცა იგი თერთმეტმა გუნდმა დაიწყო და რვალამ ჩაათავა. გახსოვთ, ალბათ, მავანნი ადრეც ბჭობდნენ, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა შესამცირებელიაო. ჰოდა, სიდუხჭირემ ცუდად აგვიხდინა — ჩემპინატს ერთმანეთის მიყოლებით გამოაკლდნენ „მერანი", ქუთაისის გუნდი და, რაც ყველაზე გულდასაწყვეტი იყო, „კაქტუსი", რომელიც ასე ალამაზებდა და ამძაფრებდა პირველიბისთვის ბრძოლას. ამგვარ ვითარებაში ჩემპიონატი ორი გუნდის — „ვითასა" და „დინამოს" შეჯიბრებად იქცა, სხვა შეხვედრებმა კი, ფაქტიურად აზრი დაკარგა. რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებშიც შეიძლება იყოს ორი ძლიერი გუნდი, რომლებიც თამაშის კლასით აშკარად აღემატებიან სხვებს, მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, რას წარმოადგენენ ეს „სხვები". საქართველოს ჩემპიონატში კი თავისი წილი ინტრიგა ცხრილის სახიფათო ზონაშიც არ იყო. ერთი საფეხურითაც „ზემდგომი" გუნდი იოლად უსწორდებოდა „ქვემდგომს" და რა გასაკვირია, რომ აღარც იყო ისეთი საერთო ინტერესი, როგორიც ამ ორი-სამი წლის წინათ. ამ პირობებში ლიდერის მდგომარეობა ძალზე რთულია — მოთამაშეები ხომ ბრძოლაში უნდა გამოიწრთონ, აქ კი რომელ გამოწრთობაზეა ლაპარაკი, როლესაც მთელ სეზონში მხოლოდ შვიდ შეხვედრას თამაშობ მთელი დატვირთვით. ამ დროს ლიდერის მწვრთნელთა არც თუ იოლი ამოცანა ისლაა, როგორმე შეუნარჩუნონ მოთამაშეებს ბრძოლის უნარი და განწყობა თუნდაც რამდენიმე თამაშისთვის. თანაც, ვითელები ხომ საქართველოს ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ. კარგად ჩაატარეს სეზონი კახა შენგელიამ, დუდუ დადიანმა, ლევან ქარაბაკმა. ამ სამეულმა ყველა შეხვედრა სტაბილურად ჩაატარა. რა თქმა უნდა, მათ ზოგჯერ უარესად და ზოგჯერ უკეთესად ითამაშეს, მაგრამ ეს სეზონის მანძილზე ბუნებრივიცაა. წარმატებული მატჩები გია სანიძისა და მამუკა ტურაშვილის ანგარიშზეცაა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს არასტაბილურობა არა იმდენად მწვრთნელებისა და მოთამაშეების ბრალია, რამდენადაც კონკურენციის უქონლობისა. „ვითას" გრძელი სკამი აქვს. ამ გუნდში საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა მოთამაშეა თავმოყრილი და ამა თუ იმ მატჩის ბედის გადაწყვეტა ერთი-ორი მოთამაშის კარგ თამაშსაც შეუძლია. ცხადია, „დინამოსთან" შეხვედრების გარდა. „დინამოს" კი ნამდვილად ეკუთვნის მადლობა იმისათვის, რომ ჩემპიონატი ბოლომდე ულიმღამო სანახაობად არ იქცა, თანაც მას შემდეგ, რაც „კაქტუსი" დაიშალა. ლდინამოელებმა შეძლეს ბოლომდე შეენარჩუნებინათ ჩემპინატის ინტრიგა. მათი შეხვედრები „ვითასთან" ძალზე დაძაბული იყო. ამას მეტყველებს ჩემპინატში მათი შეხვედრების ანგარიშიც 4:3 „ვითას" სასარგებლოდ. ამ შვიდ მატჩში იყო მაღალი დონის კალათბურთი (გამონაკლისი, სამწუხაროდ, სუპერფინალის ბოლო მატჩი გახლდათ), სადაც მწვრთნელთა გამჭრიახობაც გამჭრიახობაც გამოჩნდა და მოთამაშეთა ოსტატობაც. „დინამო" ღირსეულად ეპაექრა „ვითას" რომელსაც ბევრად მეტი ძლიერი კალათბურთელი ჰყავს. შარშანდელი წარუმარტებელი სეზონის შემდეგ, შესანიშნავად ითამაშა დარსაძემ, რომელიც მატჩში (განსაკუთრებით ექვსეულის შეხვედრების დროს „ვითასთან") ძველი ჩვეული ოსტატობით წარმოგვიდგა. საგრძნობლად მოუმატა ბეჟანიშვილმა. სტაბილურდა, მშვიდად და აზრიანად ითამაშა მთელ სეზონში (სამწუხაროდ ბოლო მატჩის გარდა) ცხვედიანმა. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ოთიურიძე — მისი თამაში საზრიანობით და შეუპოვრობის გამოირჩევა. ამ სეზონში ალბათ არ ყოფილა სხვა მოთამაშე მის გარდა, რომელსაც უნიათოდ ერთი მატჩიც კი არ ეთამაშოს. პროგრესია ბერძენიშვილისა და მაისურაძის თამაშშიც. ბრწყინვალე იყო ზოგ შეხვედრაში ყლენტიც, მაგრამ მას სტაბილურობა აკლია.

მესამე პრიზიორი, რუსთავის გუნდი „დინამოსა" და „ვითას" შემდეგ ერთადერთია რომელიც ასე თუ ისე კარგი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული. გუნდს ძალიან ადგება გურასპაული, რომლის თამაში მის თანაგუნდელებსაც აგულიანებს. რამდენჯერმე რუსთაველებმა ძალზე ლამაზად ითამაშეს და შეძლებისდაგვარად ელფერიც შეჰმატეს ჩემპიონატს. თუმცალა, „ვითასთან" და „დინამოსთან" გატოლება მათ შესაძლებლობებს აღემატება.

დანარჩენ გუნდებზე ბევრს ვერაფერს იტყვი, გარდა იმისა, რომ არიან მწვრთნელები, რომლებიც მონდომნებით კი მუშაობენ და რაც შეუძლიათ, აკეთებენ, მაგრამ მათ პირობებში მყოფებს ვეღარას მოსთხოვ.

ყველა ის ეპითეტი და შეფასება, რაც ზემოთ ვთქვით, საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებიდან გამომდინარეა და მისი უტყუარობა მხოლოდ საერთაშორისო მატჩებმა უნდა დაადასტურონ. საქართველოს ნაკრებმა ხუთი შეხვედრა გამართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. ერთი, ბოსნია — ჰერცოგონივასთან მოიგო, ოთხი კი წააგო — ბესარუსთან, საბერძნესთან, ისრაელთან და სლოვაკეთთან. ბოსნიასთან მოგებული მატჩის შემდეგ გულშემატკივრკებს იმის ილუზიაც შეექმგათ, რომ ნაკრებს ყოველნიარ მეტოქესთან თანაბარ დონეზე შეეძლო თამაში, მაგრამ ეს ასე ადვილად არ ხდება. არ შეიძლება ისეთ პირობებში, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა ისაც კი არ იციან, იარსებებს თუ არა ძათი გუნდი, მაღალი კლასის მოთამაშეების აღზრდაზე იზრუნონ. მარტო ერთი გუნდით კი ქვეყნის კალათბურთო თავს ვერ გაიტანს. კი, ბატონო, წელს „დინამომ" შესანიშნავად ითამაშა და მასთან შეხვედრები ნაღდად წაადგა „ვითას", მაგრამ ასევე იყო შარშან „კაქტუსიც", რომელიც წელს უკვე აღარ არსებობს. ჩემპიონატში კი ალბათ ექვსი ისეთი გუნდი მაინცაა საჭირო, რომელიც ნამდვილად ითამაშებს ნამდვილ კალათბურთს. არადა, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, სადაც ჰორიზონტზეც კი ჯერ საიმედო ვერაფერი ჩანს, კალათბურთს ჩვენთან უნდა ჰყონდეს პერსპექტივა. ეს თამაში უყვართ გულშემატკივრებსაც, პოპულარულია ბავშვებშიც და, ბოლოსდაბოლოს, ძლიერი ფესვებიც აქვს სასახელო ტრადიციებქის სახით. სწორედ ამიტომ კალათბურთი მეტ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს არა მარტო სპეციალისტებისგან, არამედ იმ შემძლე ადამიანების მხრიდანაც, რომელთაც ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთოს გაკეთების სურთილი აქვთ. და ვიდრე არიან ნიჭიერი კალაფბურთელები ვიდრე მათ არ განელებიათ კალათბურთის თამაშის სურვილი, საქმეს დაუნანებლად უნდა მიხედვა, რათა მერე ცარიელ ადგილზე არ მოგვიხდეს დიდი საქმის დაწყება.

ᲙᲝᲢᲔ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ხვალ ფინალი იწყება: სიეტლი–ჩიკაგო

## ფლეი-ოფი

### კონფერენციების ფინალები

(4 მოგებამდე)

**დასავლეთი**

**სიეტლი — იუტა 4:3**

30 მაისი სოლტ-ლეიკ-სიტი

იუტა ჯაზი — სიეტლ სუპერსონიქსი 118:83

იუტა: სტოქტონი (14), ჰორნაჩეკი (23), მორისი (8), მელოუნი (32), სპენსერი (6); ფოსტერი (7), ეისლი (2), რასელი (12), კარი (8), ბენუა (5), კიფი (1), ოსტერტაგი

სიეტლი: პეიტონი (10), ჰოკინსი (7), შრემპფი (16), კემპი (26), ჯონსონი (1); პერკინსი (14), მაკმილანი, ესკიუ (5), ბრიკოვსკი (2), ვინგეიტი (2), სნოუ, შეფლერი

სერიის ანგარიში რომ გათანაბრდებოდა, უკვე მე-5 წუთზე გაირკვა: „იუტა" 12:0 იგებდა, სიეტლელმა შრემპმა მაშინღა რომ ჩააგდო პირველი ბურთი. მეორე მეოთხედში სხვაობა 22 ქულამდე გაიზარდა. კარლ მელოუნმა და ჯეფ ჰორნაჩეკმა თითქმის ყველა წერტილიდან ჩააგდეს. მათი პასებით მომარაგება კი ჯონ სტოქტონმა იკისრა, ვინაც ამ დღეს აშკარად დაჩაგრა გერი პეიტონი. „სიეტლი" ტაიმის ბოლოსღა გამოფხიზლდა და დასკვნითი მონაკვეთი 11:0 მოიგო, მაგრამ უპირატესობა მაინც „ჯაზისა" იყო — 59:47.

შესვენების შემდეგ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. იუტელები მეოთხე მეოთხედში მთლად აფეთქდნენ და 32:16 მოიგეს.

1 ივნისი. სიეტლი

სიეტლ სუპერსონიქსი — იუტა ჯაზი 90:86

„იუტას" რომ მოეგო, გახდებოდა ნბა-ს ისტორიაში მეხუთე გუნდი, ვინაც კონფერენციის ფინალში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ სერიას თავის სასარგებლოდ დაასრულებდა. მის საუბედუროდ, ასე არ მოხდა და ნბა-ს ფინალში „სიეტლი" გავიდა.

ამრიგად, ნბა-ს საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატის ფინალში ითამაშებენ „ჩიკაგო ბულზი" და „სიეტლ სუპერსონიქსი", ამ გუნდებმა თავ-თავიანთი კონფერენციებში პირველ ადგილებზე დაასრულეს რეგულარული ჩემპიონატი. „ჩიკაგოს" უკეთესი შედეგი ჰქონდა, ამიტომაც, ფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს. სერია ხვალ იწყება ჩიკაგოს „იუნაიტედ ცენტრში", მეორე მატჩიც იქვე გაიმართება. შემდეგი ორი შეხვედრა (თუ საჭირო გახდა მესამეც) სიეტლის „კი არენაში" შედგება. საჭიოროების შემთხვევაში, მეექვსე და მეშვიდე მატჩებიც ჩიკაგოში მოეწყობა.

1968 წელს დაარსებული ᲡᲘᲔᲢᲚ ᲡᲣᲞᲔᲠᲡᲝᲜᲘᲥᲡᲘ აქამდე ფინალში ორჯერ გავიდა, ჩემპიონი გახდა ერთხელ.

1978: ვაშინგტონ ბულიტსი — სიეტლ სუპერსონიქსი 4:3 (102:106, 106:98, 92:93, 120:116, 94:98, 117:82, 105:99)

1979: სიეტლ სუპერსონიქსი — ვაშინგტონ ბულიტსი 4:1 (97:99, 92:82, 105:95, 114:112, 97:93)

1968 წელს დაარსებული ᲩᲘᲙᲐᲒᲝ ᲑᲣᲚᲖᲘ ადრე ფინალში გავიდა სამჯერ და სამჯერვე ჩემპიონი გახდა.

1991: ჩიკაგო ბულზი — ლოს-ანჯელეს ლეიკერზი 4:1 (91:93, 107:86, 104:96, 97:82, 108:101)

1992: ჩიკაგო ბულზი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 4:2 (122:89, 104:115, 94:84, 88:93, 119:106, 97:93)

1993: ჩიკაგო ბულზი — ფინიქს სანზი 4:2 (100:92, 111:108, 121:129, 111:105, 98:108, 99:98)

**ფრენბურთი**

# რუსების ჯგუფში კურორტია

ფრენბურთელთა მსოფლიო ლიგის ტურნირმა შუაწელს მიაღწია. ჯგუფური თამაშები ფავორიტთა უპირატესობით მიმდინარეობს. განსაკუთრებით უინტერესოა მატჩები მესამე ჯგუფში, სადაც სხვებისგან განსხვავებით 3 გუნდი გამოდის ამერიკელების უარის გამო. აქ რუსები აშკარად სჯობნიან იაპონელებს, ისევე, როგორც იაპონელები ჩინელებს.

მეორე ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონი იტალია და ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდია ბევრით აღემატებიან ბერძნებს და ბულგარელებს, ასე რომ, საინტერესო მხოლოდ მათი ერთმანეთთან შეხვედრებია. იტალიაში მასპინძლებმა ორივე მატჩი მოიგეს, ახლა, შემდეგ კვირას, მასპინძლები ჰოლანდიელები იქნებიან. ყველაზე საინტერესო თამაშები პირველ ჯგუფშია. ფავორიტებად კუბა და ბრაზილია ითვლებოდნენ, თუმცა სპეციალისტები არგენტინელთაგანაც ელოდნენ ხელის გამოღებას, მაგრამ სიურპრიზი სხვათაგან მიიღეს: ესპანელებმა, რომლებიც არასოდეს ითვლებოდნენ ელიტასთან ახლოს მდგომ გუნდადაც კი, ჯერ ბრაზილიელები დაამარცხეს 3:2, შემდეგ კი მათ კუბელებიც მიაყოლეს 3:1. საბოლოოდ, ამ ჯგუფში ალბათ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდება, მაგრამ ფავორიტებს თავისი ძალის დამტკიცება ერთობ დაძაბულ ბრძოლაში მოუწევთ.

**ხელბურთი**

# ესპანელებს ტალანტი არ ეყოთ

# ქართველებს უკრაინა დაეჯახა

ესპანეთში, ევროპელთა ჩემპიონატის ნახევარფინალში რუსეთის ნაკრები კონტინენტის წინა პირველობის გამარჯვებულს შვეციის ნაკრებს შეხვდა. რუსები თავიდანვე 3 ბურთით დაწინაურდნენ და ეს სხვაობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. შვედების მრისხანე ბომბარდირებმა სტეფან ოლსონმა და პერ ვაგლენმა ვერაფერი გააწყვეს მეკარე ანდრეი ლავროვთან. რუსთაგან კი, მათი ლიდერის ატავინის არყოფნაში (ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში მუხლი დაიშავა) შესანიშნავად ითამაშეს გოპინმა და პოგორელოვმა. ამ უკანასკნელმა მატჩში ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა და თავისიანებს 24:21 გაამარჯვებინა. მეორე, ესპანეთ-იუგოსლავიის ნახევარფინალში კვლავ ბრწყინვალედ ითამაშეს მასპინძლებმა. მათ, ფაქტიურად, უშანსოდ დატოვეს მრავალნაცადი იუგოსლავები. გამარჯვებულთაგან ლიდერობა ისევ ტალანტ დუშებაევმა დაიკისრა და იუგოსლავებმა მას ვერაფერი მოუხერხეს. ტალანტი საუკეთესო იყო ამ მატჩში, 7 ბურთიც გაიტანა და ესპანელებმა 27:23 მოიგოს.

სევილიაში გამართულ ფინალში, იმის მიუხედავად, რომ რუსებს უფრო მდიდარი ტრადიციები აქვთ ამ სახეობაში (ნაკრებები გვყავს მხედველობაში, თორემ საკლუბო გუნდები ლეგიონერთა ხარჯზე ესპანელებსაც ძლიერი ჰყავთ), ფავორიტად ესპანელები ითვლებოდნენ, რადგან რუსებს ატავინის გარდა მეორე ლიდერიც კულიჩენკოც მოაკლდათ. მაგრამ რუსეთის ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა. დუშებაევის და გარსიას გოლებს გოპინი და ტორგოვანოვი პასუხობდნენ. კარგად თამაშობდა პოგორელოვიც. მატჩის ბოლო წუთზე, როდესაც რუსეთის ნაკრები ერთი ბურთით იყო წინ, კუდინოვი უწინარ სიტუაციაში შეცდა. ესპანელები შეტევაზე გადავიდნენ და ერთი მათგანი მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ ლავროვმა ფეხით მოიგერია ბურთი და რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.

კვირას სევილიაშივე მოეწყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. საქართველოს ნაკრებმა, სანამ შესარჩევ ქვეჯგუფში მოხვდება, წინასწარი წრეც უნდა გაიაროს — აგვისტოში ეთამაშება უკრაინას და ამათში მოგებული უკვე შესარჩევ ტურნირში ჩაიბმება. ასეთსავე სიტუაციაში არიან საბერძნეთი და კვიპროსი. შესარჩევი ჯგუფები კი ასე შედგა.

1. რუმინეთი, თურქეთი, ბელგია, ნორვეგია
2. უნგრეთი, მაკედონია, ლიტვა; საქართველო ან უკრაინა
3. ჩეხეთი, ბელარუსი, ჰოლანდია, ისრაელი
4. გერმანია, სლოვაკეთი, პოლონეთი, პორტუგალია
5. დანია, ისლანდია, ესტონეთი; საბერძნეთი ან კვიპროსი
6. სლოვენია, შვეიცარია, ავსტრია, იტალია

შესარჩევი მატჩები გაიმართება 1996 წლის 2, 6 და 30 ოქტომბერს, 3 და 27 ნოემბერს, 1 დეკემბერს.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს 1997 წლის 18 მაისიდან 1 ივნისამდე იაპონია უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე პირდაპირ დაშვებული არიან: საფრანგეთი (მსოფლიოს ჩემპიონი), რუსეთი, ესპანეთი, იუგოსლავია, შვედეთი, ხორვატია.

## საქართველოს ჩემპიონატი „სარბიელის" მიხედვით

**დაცვის საუკეთესო მოთამაშე**



რეზო ჩხეიძე (კაქტუსი, ვითა)

**საუკეთესო მეექვსე მოთამაშე**



ვასილ ოთიურიძე (კაქტუსი, დინამო)

**ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე**



ვლადიმერ ბეჟანიშვილი (დინამო)

**საუკეთესო მოთამაშე ქალთა შორის**



ლიკა ქაჯაია (სტუ)

**ჩემპიონატის ხუთეული**



# ჩოგბურთი

# ზემერმა მდზერმა კუდი მოიქნია

პარიზში, „როლან გაროსზე", საფრანგეთის ღია პირველობაზე საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ როგორც ქალთა, ასევე კაცთა ფინალში უბობოლესები შეიბნებიან: ერთგან უეჭველად გავლენ შტეფი გრაფი და მონიკა სელეში, მეორეგან კი — პიტ სამპრასი და თომას მუსტერი.

საწყისი ექვსი დღე ქალებმაცა და ვაჟებმაც ერთნაირი რეჟიმით გალიეს: სატურნირო ბადის ზედა და ქვედა ნახევრები დღეგამოშვებით თამაშობდნენ. კვირას ანუ მეშვიდე დღეს ორგანიზატორებმა ვაჟებს ამავე ყაიდაზე გააგრძელებინეს, ქალებს კი ერთბაშად ყველა, რვავე მერვედფინალი გაამართვინეს, რაკიღა ამათ ფინალი ვაჟებთან შედარებით ერთი დღით ადრე — შაბათს უწევთ. ასე რომ, ორშაბათ საღამოს ორივე უმთავრეს კატეგორიაში გაირკვეოდა უძლიერესი რვეულები ანუ მეოთხედფინალური წყვილები.

**II წრე. მეოთხე დღე. 30. V**

ერთობ ცხელოდა. ფავორიტებმაც მალე მოითავეს საქმე.

**გრაფი** (გერმანია, 1) — ნიკოლ ბრადტკე (ავსტრალია) 6:2, 6:2 (50 წუთში). კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — რადკა ზრუბაკოვა (სლოვაკეთი) 6:3, 7:6. კიმიკო დატე (იაპონია, 7) — ტატიანა იეჩმენიცა (იუგოსლავია) 6:4, 6:2

გავარდა მეოთხე განთესილი ვაჟი: არნო ბეჩი (საფრანგეთი, 11) — პაულ პაარპუისი (პოლანდია) 5:7, 6:2, 2:6, 4:6

**მუსტერი** (ავსტრია, 2) — ჟერარ სოლვი (საფრანგეთი) 6:1, 6:3, 6:2

**სტეფან ედბერგი** (შვედეთი) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:2, 6:2, 6:1. 30 წლის შვედმა ჯეელი რომ დაამარცხა, გამოტყდა, თავი 10 წლით უმცროსი მეგონაო.

**III წრე. მეხუთე დღე. 31. V**

**სელეში** (აშშ, 1) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:2, 7:5. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:0, 6:0. არადა, ორი კვირის წინ რუსმა ბერლინში სამ ხელში აჯობა გერმანელს.

გავარდა ერთბაშად სამი განთესილი ქალი: მარი პირსი (საფრანგეთი, 12) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 4:6, 2:6. პირსს უმოკლესი, სულ მთლად შავი კაბა ეცვა, მაგრამ მეორე ხელში პანიკამ მოიცვა. მისა და ანდრე აგასის საზიარო მწვრთნელ ბრედ გილბერტს უიმბლდონამდე დარჩენილ დროში სერიოზული მუშაობა მოუწევს.

**ბრენდა შულც-მაკქარფი** (პოლანდია, 8) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 3:6, 6:3, 5:7. მარტინა პინგისმა (შვეიცარია, 15) სამ ხელში წააგო კარინა პაბსუდოვასთან (სლოვაკეთი).

**სამპრასი** (აშშ, 1) — თოდ მარტინი (აშშ) 3:6, 6:4, 7:5, 4:6, 6:2. საარაკო თამაში სამ საათსა და 21 წუთს გაგრძელდა. მეტოქეებმა წინა საღამოს ერთად წაიხემსეს. აქამდე გამართული 12 თამაშიდან სამპრასს ათჯერ გაემარჯვა. პიტი და თოდი ერთმანეთს პირველად ხვდებოდნენ თიხაზე. გამარჯვებულმა 19 ეისი გაახერხა, დამარცხებულმა — 21.

**მეექვსე დღე. 1. VI**

გრაფმა და მუსტერმა ვადამდე გაიმარჯვეს: ორივეს მეტოქე გასრიალდა და ფეხი იტკინა.

**გრაფი** (1) — პეტრა ლანგროვა (ჩეხეთი) 6:0, 1:0 (26 წუთში). მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 11) — გლორია პიცკინი (იტალია) 6:2, 6:3. ივა მაიოლი (ხორვატია, 5) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:4. ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა, 14) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 3:6, 6:2

გავარდა ერთი განთესილიც: ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 16) — გალა ლეონ-გარსია (ესპანეთი) 4:6, 6:2, 3:6



1992 წელს ედბერგი ჯერ კიდევ გრგვინავდა

**მუსტერი** (2) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:4, 5:2. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 5) — ბოჰდან ულიჰრახი (ჩეხეთი) 6:4, 6:2, 6:2

**ედბერგი** — მაიკლ ჩანგი (აშშ, 4) 4:6, 7:5, 6:0, 7:6 (7-1). ედბერგი წლის ბოლოს თამაშს თავს ანებებს. დიდი სლემის ტიტულთაგან აკლია მხოლოდ საფრანგეთისა. ამ შვიდი წლის წინ „როლან გაროსის" ფინალში სწორედ რომ 17 წლის ჩანგს შეხვდა და ხუთ ხელში წააგო.

მეტისმეტმა სიცხემ თიხა ერთობ გაახისტა. შვედმა ვეტერანმაც მძლავრ მოწოდებასა და პაერიდან დარტყმებს დააფუძნა იმდღევანდელი ტაქტიკა და დამსწრეთა მხურვალე ოვაციაც დაიმსახურა.

**IV წრე. მეშვიდე დღე. 2. VI**

კვირას პარიზშიც წვიმდა. თამაში ბევრჯერ შეფერხდა. ზოგი მატჩის დამთავრება ორშაბათისთვის გადაიდო.

ქალთა მერვედფინალები: **გრაფი** (1) — ფერნანდესი (11) 6:1, 7:6 (9-7). მაიოლი (5) — ლეონ-გარსია 6:3, 6:1. მარტინესი (3) — კეტცერი (14) გადაიდო მეორე ხელში. ლინდზი დავენპორტი (აშშ, 9) — დატე (7) მესამე ხელი 8:6. პაბსუდოვა — ანკე პუბერი (გერმანია, 6) 7:5, 6:3. სანჩეს-ვიკარიო (4) — რიტნერი 6:3, 6:4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 10) — სპირლეა 6:1, 7:5. სელეში (2) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 13) 6:1, 6:1

მონიკა სელეში პარიზში ზედიზედ სამჯერ გახდა ჩემპიონი — 1990, 1991 და 1992 წლებში. პარიზში იგი მხოლოდ გრაფს დაუმარცხებია (1989 წელს).

შტეფის გული გაუწყალა წვიმამ და რიტმიდანაც ამოაგდო. სელეშს მალეევასთან მატჩის წინა ღამე თეთრად გაეთენებინა, ვინაიდან 1993 წლის 30 აპრილს, ჰამბურგში, სწორედ რომ მალეევასთან თამაშის დროს დაჭრეს. ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

გამოვლინდა ვაჟთა ოთხი მეოთხედფინალისტიც: სამპრასი (1) — ჯიმ კურიე (აშშ, 7); რიხარდ კრაიჩეკი (პოლანდია, 13) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 6)

**სამპრასი** — სქოთ დრეიპერი (ავსტრალია) 6:4, 7:5, 6:2. კრაიჩეკი — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2, 6:4. კურიე — ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 10) 4:6, 6:1, 6:3, 6:3. კაფელნიკოვი — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 6:4, 6:3, 6:3.

**ირაკლი ნინუა**

## ლიდერი შეიცვალა

**იტალიის ველოტურ „ჯიროზე"**

XII ეტაპი (30. V) მოიგო ფაბიანო ფონტანელიმ (იტალია), ჯამში კი დავიდე რებილინი (იტალია) კვლავინდებურად 4 წამს უგებდა პაველ ტონკოვს (რუსეთი).

XIII ეტაპზე (31. V) ტონკოვმა 33 წამი მოუგო რებელინს და ვარდისფერი კვართი წაართვა.

XIV ეტაპმა (1. VI) საფრანგეთში შეუხვია. გაიმარჯვა პასკალ რიშარმა (შვეიცარია), ვინაც 43 წამით აჯობა კლაუდიო კიაპუჩის (იტალია). ტონკოვი ლიდერად დარჩა.

**მიხო ნინუა**

## მას რაზმის კრახი

ცნობილი სტაიერთა [illegible] გამზრდელის, ჩინელი გადამდგარი ოფიცრის მა ჯუნ რენის გოგონებმა სასტიკი მარცხი იწვნიეს ოლიმპიურ შესარჩევ შეჯიბრებაში, ნანჯინში რომ გაიმართა. მა ამ დროს ნაწლავთა სიმსივნის გამო ჰოსპიტალში იყო, რაც შეგირდებმა ერთობ განიცადეს, გუნდის ლიდერმა ჟიანგ ბომ კი 5 000 მეტრზე რბენისას დისტანცია რომ მიატოვა, სიმწრით კიდეც აქვითინდა.

შეჯიბრის შედეგად ჩინელებმა ატლანტაში წასაყვანი გუნდი შეადგინეს. მასში მას ამჟამინდელ მოწაფეთაგან არავინაა. სამაგიეროდ, ყინჩადაა 3 000 და 10 000 მეტრებზე სირბილის მსოფლიო რეკორდსმენი ვან ჯუნ შა, მა ჯუნ რენს ამ ორი წლის წინ რომ აუჯანყდა, სპორტი არმია ხომ არ გგონია, დალალების მოზრდასა და ბოი-ფრენდის ყოლას რომ მიკრძალავო. ვანს მას აქეთ წლის საუკეთესო შედეგები გაუხერხებია 5 000 და 10 000 მეტრზე.



ქრისთი კარგ ფორმაშია, მაგრამ ჯერაც გადაჭრით არ უთქვამს, ატლანტაში იასპარეზებს თუ არა

**შაბათ-კვირას**, მადრიდში, ცალკე გერმანელმა ქალებმა და ცალკე კაცებმა მოიგეს ევროპის თასის XXI გათამაშება, კონტინენტის რვა-რვა უკეთესი გუნდი რომ მონაწილეობდა. შეჯიბრის დროს ძლიერი ქარი ქროდა.

36 წლის ყველაფრის ჩემპიონმა ლინფორდ ქრისთიმ (ბრიტანეთი) ამ თასებზე ზედიზედ მეათედ მოიგო 100 მეტრზე სირბილი — 10,04 წამი, კვირას კი 200 მეტრზე იმარჯვა — 20,25.

სამხტომში სეზონის საუკეთესო შედეგი — 17,79 მეტრი ალმოაჩნდა მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენს, ბრიტანელ ჯონათან ედვარდსს.

**1991 წლის** 100 მეტრზე თარჯრბენის მსოფლიო ჩემპიონ ლუდმილა ნაროჟილენკოს მიენიჭა შვედეთის მოქალაქეობა და ატლანტაშიც ქმრის — ვინმე ენკვისტის ქვეყნის ღირსებას დაიცავს.

**თენგიზ არტამონოვი**

# საშინაო და მსოფლიო რაგბები

# ლისაბონიდან აღარ დაურეკავთ





## ჰონკონგი, ეტყობა, ერთობ შორს დაგვრჩა!

შაბათ-კვირას, ლისაბონში, საქართველოს საშვიდკაცო ნაკრები სხვა 23 ქვეყნის გუნდების მხარდამხარ საგაისო მსოფლიო თასის (21-23 მარტი, ჰონკონგი) შესარჩევ შეჯიბრში ასპარეზობდა. ჩვენების მიზანი მოწინავე რვეულში მოხვედრა იყო, რისთვისაც კვირის უმთავრესი თამაში უნდა მოგვეგო უშუალო კონკურენტისთვის, შაბათის თამაშების შემდეგ რომ გამოვლინდებოდა.

ევროპის კიდიდან კავკასიასთან დაკავშირება ჭირს. ჩვენს მოშვიდკაცეებს შაბათს მაინც დაურეკავთ და შეუტყობინებიათ, ავსტრიას მოვუგეთ, ნამიბიასთან კი წავაგეთო. არც კვირასა და არც ორშაბათს ლისაბონიდან მეტი არავინ შეხმიანებია საქართველოს რაგბის კავშირს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენებს ხელი მოსცარვიათ.

ქართველი მოშვიდკაცეები შინ ხვალ, ნაშუაღამევსღა დაბრუნდებიან პარიზი — პრაღა — თბილისის რეისით და ყველაფერს ალბათ მაშინღა მოეფინება ნათელი.

## მოთამაშე პრეზიდიუმი

შვიდკაცას გამო ქვეყნის ჩემპიონატის „ა" ჯგუფში 7 ივნისამდე შესვენება იყო, „ბ" ჯგუფში კი პირველი წრე დამთავრდა.

20.V. უნივერსიტეტი 23 (3ლ, გ, 2ს) — ბათუმის დელფინები 20 (2ლ, 2გ, 2ს)
22.V. ყოჩები II 15 (10) (2ლ, გ, ს) — დელფინები 0
23.V. ახკ 14 (3) (ლ, 2ს, ა) — უნივერსიტეტი 8 (8) (ლ, ს)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახკ | 3 | 3 | 0 | 0 | 47: 7 | 6-2 | 6 |
| ყოჩები II | 3 | 2 | 0 | 1 | 60:47 | 8-8 | 4 |
| უნივერსიტეტი | 3 | 1 | 0 | 2 | 48:72 | 7-8 | 2 |
| დელფინები | 3 | 0 | 0 | 3 | 20:41 | 2-5 | 0 |

სამივე თამაში მოიგო ახალმა — ჯარის გუნდმა (მწვრთნელი ლევან მგელაძე), რომელსაც ჩოლოყაშვილის პოლკში საკუთარი რაგბის სტადიონიც კი მოუწყვეს.

ბათუმელებმა სამივე მარცხი თბილისში იწვნიეს, ივნისში კი მასპინძლობის ჯერი მოუწევთ. რაც შეეხება ძალიან დიდი ტრადიციების პატრონ „უნივერსიტეტს", იგი მეტადაც შეივსო ვეტერანებით: ძველ შევარდენელებს — ვახო კაპანაძეს, გოგა რაზმაძეს, გიორგი სურმავას, ლადო გვიანიშვილს თვით რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე დაემატა. პოდა, „დელფინების" წინააღმდეგ „უნივერსიტეტის" შერკინების მეორე ხაზში მხარდამხარ იდგნენ პრეზიდენტი და გენერალური მდივანი კუბლაშვილი, რაშიც დასაძრახი, რა თქმა უნდა, არაფერია — ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია გინდ ურუგვაიში, გინდ კენიაში და გინდაც ჰონკონგში.

**იყიდება**

თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა
125 სმ X 74 სმ
75 სმ X 75 სმ
ტელ: 95 22 56 (საღამოს)

## უცხოური კრიალოსანი

**სამხრეთი** ნახევარსფეროს პროვინციათა ჩემპიონატი — ზე-12 ისე შემოსავლიანი გამომდგარა, რომ გაისად კიდევ ოთხი გუნდი დაემატება და ზე-16-ად იქცევა.

**ინგლისის** რაგბის კავშირი მოურიგდა 24 ბობოლა კლუბს სასპონსორო და ტელე-შემოსავლის განაწილების გამო. მოლაპარაკება რომ ჩაშლილიყო, კლუბები გამოეყოფოდნენ კავშირს და საკუთარ შეჯიბრს გამართავდნენ, ინგლისის ნაკრები კი წლევანდელი მესამე დივიზიონის მოთამაშეთაგან თულა შეკოწიწდებოდა.

**რაგბისა და ლიგის** შესარიგებელმა შოუმ ისე ასიამოვნა სუპერ-ლიგის შეფი მორის ლინდზი, რომ ათქმევინა, ხუთი წლის შემდეგ ორივე ბურთაობა გაერთიანდებაო, ინგლისის რაგბის კავშირის მთავარმა მოხელემ თონი პალითმა კი ლიგას შესთავაზა, იქნებ თქვენი სათასო ფინალი უემბლის ნაცვლად ამიერიდან თვიქნემში გაგემართათო.

**ზელანდიის** ახალმა მწვრთნელმა ჯონ პართმა განაცხადა, რომ „ოლ ბლექსს" შეადგენს შესარჩევი მატჩის შემდეგ, 1 ივნისს რომ გაიმართა. ზე-12-ში კარგი თამაშის გამო პირველ შემადგენლობაში ოზბორნის, ლითლისა და მ. ჯოუნზის ნაცვლად გამოცადეს ქალენი, მაქლეოდი და რაიქლმანი. სავარაუდო „ოლ ბლექსი" ასე გამოიყურება: ქალენი; ვილსონი, ბანსი, მაქლეოდი, ლომუ; მერთენსი, მარშალი; ალენი, ფითსპატრიქი, დაუდი; რ. ბრუქი, ი. ჯოუნზი; რაიქლმანი, კრონფელდი, ზ. ბრუქი. სათადარიგონი: ქელეინი, რაში, ტონუუ, იერემია, პიუითი, ბრაუნი და მ. ჯოუნზი.

**მსოფლიოს** 1991 წლის ჩემპიონი ავსტრალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბობ დვაიერი დაინიშნა ინგლისის ვიცე-ჩემპიონისა და თასის ფინალისტის — ლესთერის „ვეფხვების" მოძღვრად. „ვოლაბთა" გადიობიდან ოქტომბერში დათხოვნილმა სპეციალისტმა ზამთარი პარიზში გაატარა, „ლესთერის" გამო კი განაცხადა, ეშხიანად ავაბურთავებ, მით უფრო, რომ გუნდს საამისო მონაცემები არ აკლიაო.



დვაიერი „ვოლაბების" ნაცვლად „ვეფხვებს" გაწვრთნის

**95 წლისა** აღესრულა ტოკიოს უნივერსიტეტის მწვრთნელი შუიჩი კიტაძიმა. გინესის წიგნის თანახმად, იგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით მობურთალთა გუნდის უხუცესი დამრიგებელი იყო. კიტაძიმას 67 წელი უმწყემსია უნივერსიტეტი და მორკინალებით ზელანდიურ ყაიდაზე მიძალების აპოლოგეტიც ყოფილა.

**ივნისის ტესტების განრიგი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | ნეიპირი | ზელანდია | სამოა |
| 9 | ბრისბენი | ავსტრალია | უელსი |
| 15 | დანიდინი | ზელანდია | შოტლანდია |
| 22 | სიდნეი | ავსტრალია | უელსი |
| | ოქლენდი | ზელანდია | შოტლანდია |
| | ბუენ.-აირესი | არგენტინა | საფრანგეთი |
| 29 | ბრისბენი | ავსტრალია | კანადა |
| | ბუენ.-აირესი | არგენტინა | საფრანგეთი |

სამოამ, უელსმა და შოტლანდიამ ტურნეები დაიწყეს. წინა კვირაში შოტლანდიამ ზელანდიაში 49:13 დაამარცხა III ჯგუფის ვანგანუი, მაგრამ წააგო II ჯგუფის ჩრდ. ოქლენდთან 10:15. უელსმა პერთში 62:20 მოუგო დასავლეთ ავსტრალიას, სამოამ კი, ზელანდიაშივე 31:19 აჯობა სამხრეთი ოქლენდის საგრაფოებს და 26:18 — I ჯგუფის თარანაქის. ავსტრალიაში მალე კანადაც ჩავა, უელსელმა გარეს თომასმა პერთში ხუთი ლელო გაიტანა, ზე-12-ის შემდეგ კი ჯონა ლომუ ოქლენდიდან შინ — „საგრაფოებში" დაბრუნდა.

## ავსტრალია მაგარი ბევრ რამეშია

ბრისბენში (ქვინზლენდი, ავსტრალია) მანპინძელთა უსიტყვო გამარჯვებით დასრულდა ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ტურნირი, ერთი კვირა რომ გასტანა. ავსტრალიამ შვიდივე თამაში მოიგო — ორ-ორჯერ დაამარცხა ახალი ზელანდია და სამხრეთი აფრიკა (ერთხელ 8:0), ინდოეთს კი სამჯერ მოუგო — 6:1, 4:3 და 2:0 (ფინალში). სამაგიეროდ, ისევ გაფიცული არიან პაკისტანელები, ნაკრების უფროსობის შეცვლას რომ ითხოვენ. გუშინ გუნდს პარლამენტარები უნდა შეხვედროდნენ, ეგების რამე შევასმინოთო.

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29